



ლიბეჩანი

№ 130 / 1 - 7 სანრილი / 2013

ფანი 2 ლარი

ISSN 1987-7528



9 771987 752008

საქართველოს ბავშვთა

ავღანური დღეები

ავტორები: ბაჩა ქახუციანი, ბიძინა ბოლუაძე

6.16.19

რაც დარჩა სათქმელი

ყოვანი შაბათს 22:00

შენს დასრულებულ
დასრულებულს
დასრულებულს,
დასრულებულს
დასრულებულს.

დასრულებულს, დასრულებულს,
დასრულებულს დასრულებულს
დასრულებულს.





მთავარი რედაქტორი

შორენა შავერდაშვილი

აღმასრულებელი რედაქტორი
ნინო ბექიშვილი

რედაქტორები
ლიკა ზაკაშვილი
ირაკლი აბსანძე

შურნალისტები:

ზურაბ ვარდიაშვილი, თათია ხალიანი,
ანი ქანკოტაძე, თინა ყიფშიძე, გიორგი
გოგუა, გიორგი ქვიციანი, სოფო
აფციაური, ეკა მაღალაძე, ლაშა
ქავთარაძე, ქეთევან ღვედაშვილი

კონტრიბუტორები:

ბექა ქურხული, კობა ლიკლივაძე

რედაქცია:

ფოტო-რედაქტორი
ლევან ხერხეულიძე
გრაფიკული დიზაინი
თორნიკე ლორთქიფანიძე
რედაქტორ-სტილისტი
ნინო ბექიშვილი
კორექტორი
ნათია ორმოცაძე

გამომცემლობა:

ლიბერალი
ქეთევან ბაბუნაშვილი
ბაჰიღვეპისა და ბიზნისის
ბანკითარების მენეჯერი
რუსუდან ბარათაშვილი
ბაჰიღვეპის დირექტორი:
ქეთევან ქავთარაძე
მარკეტინგის მენეჯერი:
ია შენგელია

დისტრიბუტორი:

მიხეილ მამუჩიშვილი

შურნალის გამოწერის მსურველები
დაგვიკავშირდით: 247 10 05.

„მართლაც, საქართველოს სხვადასხვა სოფლიდან ჩამოსული ბიჭები, არც არავისზე ნაკლებად მოსულეები და ჯანიანები არიან და თავიც ისე უჭირავთ, თითქოს მთელი ცხოვრება სპეცოპერაციებში იღებდნენ მონაწილეობას და სულ ახლახან არ გამოეხურათ თავისი ეზოს ჭიშკარი. არც ერთი წამით არ ეტყობათ, რომ ერთი პატარა და ოკუპირებული ქვეყნის შვილები არიან. ამერიკელები და ნატოს შეიარაღებული ძალების წარმომადგენლები მეგობრულად და პატივისცემით ეპყრობიან ჩვენს სამხედროებს და თუ თაღბებთან კონტაქტური საცეცხლე შეტაკების დროს ვინმეს იმედი აქვთ, მათ შორის ნამდვილად არიან ქართველი ჯარისკაცები. მერწმუნეთ, არც ამ შემთხვევაში ვაჭარბებ რამეს.

... ქართველი სამხედროების შემხედვარე, გენერლითა და პოლკოვნიკებით დაწყებული კაპრალითა და ჯარისკაცებით დამთავრებული, ხვდები, რომ შეიძლება, არც ისე ცუდი და ბოლომოდებული ხალხი ვართ და იქნება მაინც გამოვიდეს ჩვენგან რამე... საქართველო მაინც ესენი არიან, ქართული არმიის ავღანური კონტიგენტის ბიჭები, ასეთი სხვადასხვანაირი აქცენტითა და კილო-კავით მოლაპარაკებები და არა ისინი, ვისაც სრულიად ტყუილად და უსაფუძვლოდ ჰგონია, რომ ვინმეზე უკეთესი, ლამაზი, ჭკვიანი და მნიშვნელოვანია.

ამ ბიჭებთან გამომშვიდობებისას, როდესაც თავისი ახლობლების ტელეფონები ჩამანერინეს, ძალიან ცუდად და უხერხულად ვიგრძენი თავი. ჩამოხვედი და ატეხილია ერთი ამბავი აქ თუ სახლში – „აუ, რა მაგარია, ავღანეთში წავიდნენ“, – აქ კი ეს ბიჭები ექვსი თვე და მეტი მსახურობენ, ყოველდღე სიკვდილს ჩაჰყურებენ თვალეში და ვითომ არაფერი, ვითომ ასეც უნდა იყოს – სრული სიჩუმე! ეს უსამართლობაც აღარ არის, გაცილებით უფრო უარესია. მართლა ძალიან ცუდად ვიგრძენი თავი. აფხაზეთის ომის დროს ასეთებს გასტროლოიროებს ეძახდნენ. მურტალი შეგრძნება“. – სტატიიდან „ავღანური დღიურები“.

„საქართველოში კი, სოციალური თუ პოლიტიკური პრობლემებით შეწუხებულ საზოგადოებას თითქოს დაავინყდა ათასობით კილომეტრით გაგზავნილი ქართული ქვედანაყოფი, რომელმაც ოთხნობიანი სამშვიდობო მისიის განმავლობაში ავღანეთში უკვე 19 ჯარისკაცი დაკარგა. და მთავარი საკითხავიც სწორედ ისაა, თუ როგორ შეძლებს მსოფლიოს „ცხელი წერტილიდან“ სამშობლოში დაბრუნებული ვეტერანების დაფასებას ის საზოგადოება, რომლისთვისაც მეთაურობის ხელოვნება მნიშვნელოვანია აქვს და მხოლოდ ხელისუფლების საზრუნავი ჰგონია ის, თუ სად იმყოფებიან მისი მებრძოლები: კოსოვოში, ერაყში, ავღანეთსა თუ მალიში?!“ – წერს კობა ლიკლივაძე ამავე ნომერში.

ჩემთვის განსაკუთრებული პატივი იყო „ლიბერალის“ ამ ნომერზე მუშაობა. საერთაშორისო ურთიერთობების თუ ჩვენი ყოველდღიური პოლიტიკის მიღმა, არსებობს ისეთი ფუნდამენტური რამ, რასაც ღირსების შეგრძნება ჰქვია. ის სამხედროები კი, ვინც ავღანურ მისიაში, სხვის ომში, სრული თავდადებით მსახურობენ, ღირსების განცდით გაგებენ. ჩვენ, ამ ქვეყნის მოქალაქეებმა, მხოლოდ პატივი შეიძლება მივაგოთ მათ, ვინც საკუთარ ქვეყანას ემსახურება.

მადლობა თავდაცვის სამინისტროს და ქართველ სამხედროებს, რომლებმაც სრულიად უპრეცედენტო საშვი მოგვცეს და გვიმასპინძლეს ქაბულისა და ჰელმანდის პროვინციის სამხედრო ბაზებზე.

შორენა შავერდაშვილი, მთავარი რედაქტორი

სუპერლოვი ფერი

 **LUKOIL**

WWW.LUKOIL.GE

www.lukoil.ge

უწვევლო ხარისხი



ლუკოილი
ნაშთობკომპანია



ქართული მისია ავღანეთში

2001 წლის 20 დეკემბერს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა NATO-თან ერთად ავღანეთში ფართომასშტაბიანი ანტიტერორისტული ოპერაცია დაიწყო. საქართველოს სამხედრო ქვედანაყოფი ავღანეთში მიმდინარე უსაფრთხოების მხარდამჭერ საერთაშორისო ოპერაციაში 2009 წლის ნოემბრიდან მონაწილეობს. საქართველოს მთავრობა ყოველ ჯერზე, ჰელმანდის პროვინციაში 755-ს, ქაბულის მისიაში კი – 50 სამშვიდობოს გზავნის. 2012 წლის სექტემბრიდან, საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილებით, საქართველოს წვლილი გაორმაგდა და ავღანეთში ჰელმანდის პროვინციაში უკვე 1600-მდე ქართველი სამხედრო მოსამსახურე იმყოფება.

ჰელმანდის პროვინციაში შეიარაღებული ძალების მე-3 და მე-4 ქვეითი ბრიგადების ჯარისკაცები 2013 წლის 22 მარტს გაემგზავრნენ.



სოფო აფციაური
83.42

ავღანეთში დღევანდელი

„ქაბულის აეროპორტში გამოსვლისთანავე ქართველი სამხედროები, ბრონირებული ჯიპებით დაგვხვდნენ. ნაჩქარევი სალამისა და მოკითხვის შემდეგ, სასწრაფოდ ჩავგვსხეს მანქანაში და სწრაფად დაიძრნენ ადგილიდან. რაციებში განუწყვეტელი გადაძახილი ისმოდა: – „სწრაფად... გადაკეტეთ... არ გაატარო, ჩავიდგება... სამი მეტრის დისტანციაზე... რა სამი მეტრი, შვიდტონიანი მანქანებია... მაგრამ, ბატონო პოლკოვნიკო, ძალიან ცუდი მოძრაობაა... გააკეთეთ, რასაც გეუბნებით და წესიერად იარეთ, არანაირი სამი მეტრი... არის!“ – რომელიც კიდევ ერთხელ გახსენებდა, რომ მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე ცხელ წერტილად მიჩნეული ტერიტორიის, ფეთქებადი და საშიში ქვეყნის, ავღანეთის დედაქალაქის ქუჩებში მოძრაობდი. პირველი პუნქტი, სადაც გაჩერდით, ქაბულში „ISAF“-ის ცენტრალური ბაზა იყო, სადაც შედგა შეხვედრა ქართულ დელეგაციასა და ნატოს „ISAF“-ის მისიის მოადგილესთან, გენერალ-ლეიტენანტ ნიკ კარტერთან და ნატოს ელჩთან ავღანეთში, მაურიც იოახიმთან. შეხვედრის შემდეგ სამხედრო ბაზა „ფენიქსისკენ“ ავიღეთ გეზი. ქაბულის ქუჩები და ამ ქუჩებზე მოძრაობა კიდევ ცალკე თემაა. ჩემი და გიორგის ქალაქში მარტო გავლაზე საუბარიც კი ზედმეტი იყო.“

ბექა ქურხული
83.16

ინტერვიუ ჯორჯიანსონს

„რამდენ მისიაშიც არ უნდა იყოს საქართველო, ეს ვერ გადაწყვეტს ტერიტორიული კონფლიქტების პრობლემას. საქართველოს დღემდე გაურკვეველი საზღვრების გამო NATO-ს არც ერთ სახელმწიფოს არ სურს ომი რუსეთთან. ეს იმდენად სერიოზული პრობლემაა, რომ ამას ქართული ძალების სამხედრო მისიებში მონაწილეობა ვერ დაჩრდილავს. საქართველოს განვერვიანებასთან დაკავშირებით დასავლეთში ერთიანი მიდგომა არ აქვთ. ჩვენ უკიდურესი რადიკალიზმისკენ გვაქვს მიდრეკილება, არ გაგვაჩნია სტრატეგიული მოთმინების უნარი, თუნდაც რუსეთთან მიმართებაში – თუ ოკუპაციის პოლოტიკაზე დგახარ, ბოლომდე ასე უნდა მოიქცე და არ შებრუნდე 180 გრადუსით, რასაც ჩვენ ნელ-ნელა ვაკეთებთ“.

გიორგი ჭეიშვილი
83.12


ხოსოვო-ეჩაყი-ავლანეთი, მალი...

„მეტიც, ეს პოლიტიკური სტერეოტიპი ინსტიტუციურად შეიმეცნა და ახალ სიმაღლეზე აიყვანა 1 ოქტომბრის შემდეგ მოსულმა ხელისუფლებამ. წინამორბედის მსგავსად საქართველოს ახალი ხელისუფლებაც ყველა ტრიბუნიდან იმეორებს, რომ 1600 კაციანი ქართული ქვედანაყოფი ავლანეთში დარჩება სამხედრო ოპერაციის ბოლომდე, ანუ 2014 წლამდე და, თუ საჭირო იქნება, შემდეგაც გააგრძელებს მისიას, როგორც ავლანეთის უსაფრთხოების ძალებისა და არმიის ინსტრუქტორ-კონსულტანტები.“

 კობა ლიკლიკაძე
03:08

ჩაპოხხაჟი

ქაბული ჯავშანმანქანის ფანჯრიდან



 გიორგი გოგუა
03:44

გამოცემელი:

შპს „ლიბერალი“. მისამართი: თბილისი 0183, ჟღენტის ქ. 35. ტელ.: (995 32) 2145002, 2145004. ელ-ფოსტა: info@liberali.ge ვებ-გვერდი: www.liberali.ge

სხვა გამოცემები:

„ცხელი შოკოლადი“, გაზეთი „ლიბერალი“

„ლიბერალის“ საავტორო უფლებები დაცულია.

ფურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი და/ან მთლიანი გამოყენება რედაქციის თანხმობის გარეშე აკრძალულია.

ბაჭყალი:

შპს „სეზანი“. მისამართი: თბილისი, წერეთლის გამზ. 140. ტელ.: (995 32) 235 70 02.

გამოდის კვირაში ერთხელ, ყოველ ორშაბათს. პირველი ნომერი გამოცემულია 2009 წლის მაისში. რეკომენდებული საცალო ფასი 2 ლარი.

ნომერი:



06 მოკლედ

ორი აზრი

08 კოსოვო-ერაყი-ავლანეთი, მალი...

ინტერვიუ

12 „ვინაიდან ცენტრალურ კარს არ გვიღებენ, NATO-სა თუ ევროკავშირში უკანა კართ შესვლას ვცდილობთ“

მთავარი თემა

16 ავლანური დღიურები

42 ქართული მისია ავლანეთში

რეპორტაჟი

44 ქაბული ჯავშანმანქანის ფანჯრიდან

52 **ციტატები**

ჩახოვანი სამხედრო ბაზაში ავღანეთში ბაზმზაპიხე



24 მარტს, პარასკევს, ვაზიანის ქვეითთა ბაზიდან ავღანეთში ორი ქართული ქვედანაყოფი გაემზგავრა. ქართველი ჯარისკაცები ჰელმანდის პროვინციაში ბაზირებულ ჯარისკაცებს ჩაანაცვლებენ. ისინი ავღანეთში 6 თვეს დარჩებიან.

სამხედროები წრთვებს გერმანიის ქალაქ ჰოჰენფელსში, აშშ-ის გაერთიანებული მრავალეროვნული მზადყოფნის ცენტრში გადიოდნენ.

ცერემონიას საქართველოს თავდაცვის მინისტრი და ამერიკის შეერთებული შტატების ელჩიც ესწრებოდნენ.

ირაკლი ალასანიამ მადლობა გადაუხადა ქართველ სამხედროებს და იმედი გამოთქვა, რომ საქართველოში მშვიდობიანად დაბრუნდებიან.

საქონსტიტუციო სვლილებები ძალაში შვიდა

ძალაში შევიდა საკონსტიტუციო ცვლილებები, რომელიც პრეზიდენტს უფლებას ართმევს პარლამენტის თანხმობის გარეშე შეცვალოს მთავრობა. კოალიცია „ქართული ოცნების“ მიერ ინიცირებული ცვლილებები პარლამენტმა საბოლოო, მესამე მოსმენით 25 მარტს დაამტკიცა.

საკონსტიტუციო ცვლილებები კოალიციასა და ნაციონალურ მოძრაობას შორის მთავარი დაპირისპირების საკითხი იყო. ნაციონალური მოძრაობის დეპუტატები მას შემდეგ დათანხმდნენ მხარი დაეჭირათ ცვლილებებისთვის, რაც „ქართული ოცნება“ სარეიტინგო კენჭისყრის გამართვაზე დათანხმდა, როგორც ამას 21 მარტს საპარლამენტო

ტო უმცირესობა ითხოვდა. საკონსტიტუციო ცვლილებების დამტკიცებას დადებითი საერთაშორისო გამოხმაურება მოყვა. 26 მარტს გამოქვეყნებულ ერთობლივ განცხადებაში ევროკავშირის საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის უმაღლესმა წარმომადგენელმა კეტრინ ეშტონმა, ევროპული სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოების საკითხებში ევროკომისარმა შტეფან ფულემ განაცხადეს, რომ ორი პარტიის მიერ მიღწეული კონსენსუსი ამ საკითხზე იმაზე მეტყველებს, რომ „ყველა მხარე ქართულ პოლიტიკაში კარგი მმართველობის ერთგული რჩება ევროპული ინტერესების შესაბამისად“.

25 მარტს პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა განაცხადა, რომ საკონსტიტუციო ცვლილებების დამტკიცება საშუალებას აძლევს პრეზიდენტს პარლამენტში ყოველწლიური მოხსენებით გამოვიდეს.

იხანმა, სირიამ და ჩხილქოთ ზოჩამ იხანლის ბაზიხი ზონსიონის შხახაბ სახითაშოხისო შთაწხმება აბაბოხა



ეს შეთანხმების გაფორმება გაეროს 193-ივე წევრის თანხმობას საჭიროებს. ირანმა, სირიამ და ჩრდილოეთ კორეამ შეთანხმების პროექტს დაუბალანსებელი და არაკორექტული უწოდეს.


შეთანხმება, რომლის მიზანი ირანის უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლაა, იმ ქვეყნებისთვის იარაღის მიყიდვის აკრძალვას ითვალისწინებს, სადაც ადამიანის უფლებები ირღვევა.

პარლამენტი შიომის ზოჯანის ზონსიონის ბანსიონის იწება

შრომის კოდექსში შესატანი ცვლილებების პროექტი პარლამენტში უკვე შევიდა. კანონპროექტი მთელ რიგ ცვლილებებს ითვალისწინებს და წინა კოდექსთან შედარებით, შრომის დაცვის მეტ გარანტიას ქმნის.

ცვლილებების მიხედვით, დამსაქმებელი ვალდებული იქნება დასაქმებულს წინასწარ გააცნოს ხელშეკრულების ტიპი და მოქმედების ვადები. სამთვეზე ხანგრძლივი თანამშრომლობის შემთხვევაში კი აუცილებელია კონტრაქტი წერილობით გაფორმდეს და ზეპირად არ შემოიფარგლოს. დამსაქმებელს ეკისრება ასევე დასაქმებულისთვის შინაგანანსის გაცნობის ვალდებულება თუკი ასეთი რამ დაწესებულებაში არსებობს. კოდექსი ობიექტური გარემოებებით განპირობებული გარკვეული შემთხვევების გარდა ხელშეკრულებების განუსაზღვრელი ვადით დადების სტანდარტს აწესებს. პროექტის მიხედვით, შრომითი ხელშეკრულება უნდა შეიცავდეს ინფორმაციას სამუშაო დროის ხანგრძლივობის, დასვენების, შვებულების, შრომის ანაზღაურებისა და ზეგანაკვეთური შრომის ანაზღაურების შესახებ. ამავდროულად, ხელშეკრულების ის პუნქტები, რომლებიც არ შეესაბამება კოდექსით ან კოლექტიური ხელშეკრულებით დადგენილ ნორმებს ბათილად უნდა ჩაითვალოს.

კოდექსის ახალი პროექტის მიხედვით, კვირაში სამუშაო დრო 40 საათს არ უნდა აღემატებოდეს, 40 საათს მიღმა მუშაობის ყოველი საათი კი ზეგანაკვეთურ დროდ უნდა ჩაითვალოს და გაზრდილი ტარიფით ანაზღაურდეს. ზეგანაკვეთურად ითვლება უქმე დღეებში მუშაობაც, თუმცა დასაქმებულსა და დამსაქმებელს შეუძლიათ შეთანხმდნენ, რომ ზეგანაკვეთური შრომის სანაცვლოდ დასაქმებულს დამატებითი გამოსასვლელი დღეები მიეცეს. კოდექსის მიხედვით ძალაში რჩება მინიმალური 24 დღიანი ანაზღაურებადი საშვებულებო ვადა, რომლის მეშვე-



ობითაც წლის განმავლობაში ყველა დასაქმებულს შეუძლია ისარგებლოს. მავნე პირობებში დასაქმებულებს კი 39 დღიანი ანაზღაურებადი შვებულებით სარგებლობა შეუძლიათ. ანაზღაურებადი შვებულების გარდა ყველა დასაქმებულს შეუძლია ისარგებლოს 15 დღიანი არაანაზღაურებადი შვებულებით. „შრომის კოდექსს“ ემატება ნორმა, რომლის თანახმადაც, გამოსაცდელი ვადით მუშაობა აუცილებლად ანაზღაურებადი იქნება, ხოლო ანაზღაურების ოდენობა და წესი მხარეთა შეთანახმებით განისაზღვრება. დამსაქმებლის ინიციატივით შრომითი ურთიერთობის შეწყვეტისას მას ეკისრება გადანტყვევებების დასაბუთების ვალდებულება. შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძვლები შეიძლება იყოს დასაქმებულის მიერ შრომის განაწესის უხეში დარღვევა, სისტემატური დარღვევა, სამუშაოს შესრულება, ხელშეკრულების ვადის ამონურვა, ეკონომიკური გარემოებები და ა.შ. პროექტით განისაზღვრება ის გარემოებებიც, რომელთა არსებობის დროსაც შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა დაუშვებელი ხდება, მაგალითად ფეხმძიმობისა და მშობიარობის შემდგომი პერიოდი. კოდექსის მიხედვით, დასაქმებულების მასობრივი დათხოვნა დამსაქმებელს

იმ შემთხვევაში შეუძლია, თუ ორგანიზაცია ფინანსური სიძნელეების წინაშე დგას, ან მიმდინარეობს რეორგანიზაცია, რომელიც წარმოებისთვის აუცილებელი სამუშაო ძალის შემცირებას საჭიროებს. შრომითი ხელშეკრულებით შეიძლება დადგინდეს დასაქმებულის ვალდებულება, შრომითი ხელშეკრულების პირობების შესრულებისას მიღებული ცოდნა და კვალიფიკაცია არ გამოიყენოს სხვა, კონკურენტი დამსაქმებლის სასარგებლოდ, თუმცა ეს შეზღუდვა არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგ.

მაც მაციში

საქართველოს მთავრობა თანახმაა ევროპული პარტნიორების შემოთავაზება მიიღოს და მალის მისიაში ჩაერთოს. ამჟამად კი დეტალების დაზუსტება მიმდინარეობს. მალის საერთაშორისო მისიაში ევროკავშირის 16 ქვეყანა და ნორვეგია მონაწილეობს. მალის დედაქალაქ ბამაკოში უკვე ჩასულია 500-კაციანი ჯგუფი, რომელიც სამხედრო ინსტრუქტორებისგან, მედიკოსთა ჯგუფებისგან, სამაშველო სამსახურებისა და ასევე, 70-კაციანი სამხედრო პერსონალისგან შედგება. 2012 წლის 6 აპრილს, ტუარეგი სეპარატისტების მიერ მართულმა ჩრდი-

ლო-აღმოსავლეთ ნაწილმა, აზავადმა მალისგან დამოუკიდებლობა გამოაცხადა, რომელსაც საერთაშორისო საზოგადოება არ აღიარებს.

ვილიამი ჯუხინა შაჰ ზღვაში სამხედრო ნიშნების ბიძანება ბასსა

ვლადიმერ პუტინი პრესსპიკერის დიმიტრი პესკოვის განცხადებით, რუსეთის პრეზიდენტმა შაჰ ზღვაზე ფართომასშტაბიანი სამხედრო წვრთნების დაწყების განკარგულება გასცა. დიმიტრი პესკოვის თქმით, ვლადიმერ პუტინმა ბრძანება მოსკოვის დროით ლამის 4 საათზე გასცა. წვრთნაში 36 სამხედრო გემი, მათ შორის ნოვოროსიისკსა და სევასტოპოლში ბაზირებული სამხედრო გემები, ასევე 7000 ჯარისკაცი მიიღეს მონაწილეობას. 



ხოსოვო-ეხაყი-ავლანთი, მანი...

საქართველოში, სოციალური თუ პოლიტიკური პრობლემებით შეწუხებულ საზოგადოებას თითქოს დაავინცდა ათასობით კილომეტრით გაგზავნილი ქართული ქვედანაყოფი, რომელმაც ოთხნობიანი სამშვიდობო მისიის განმავლობაში ავლანეთში უკვე 19 ჯარისკაცი დაკარგა.

კობა ლიკლიკაძე, „რადიო თავისუფლება“, სპეციალურად „ლიბერალისათვის“

1999 წლიდან მოყოლებული, როდესაც საქართველოს სახელმწიფოს დროშა პირველად გამოჩნდა ბალკანეთში, კოსოვოში მიმდინარე (KFOR) საერთაშორისო სამხედრო ოპერაციაში, – ქართველი მშვიდობისდამცველთა მისიაზე იმდენი დავწერე, რომ ასე მგონია, სათქმელიც შემომელია და მკითხველიც.

შედარებისათვის შორს წასვლა სულაც არ მჭირდება: ნებისმიერ ჩემს ბლოგს, რომელსაც საქართველოს შიდა პოლიტიკის საკითხებზე „რადიო თავისუფლებისთვის“ ხანგამოშვებით ვწერ, ასევე მეტი მკითხველ-გამზიარებელი და კომენტატორი ჰყავს, ვიდრე, ვთქვათ, ამასწინანდელ ექსკლუზიურ რეპორტაჟს ჰქონდა ქართველ მშვიდობისდამცველთა გარდაბნის ბაზიდან. ჩემი არაერთი მცდელობის და თავდაცვის სამინისტროს ძველი თუ ახალი ხელისუფლებისადმი მრავალრიცხოვანი თხოვნის მიუხედავად, უშუალოდ ავლანეთში, ჰელმანდის პროვინციაში მყოფ ქართველ სამხედროებზე, „ცხელი წერტილიდან“ ჯერ არ გამიკეთებია რადიო-რეპორტაჟი. თუმცა რატომღაც დარწმუნებული ვარ, რომ გამომხაურებათა კასკადი არც ამას მოჰყვება.

ანდა გაიხსენეთ, ბოლოს როდის ნახეთ რეიტინგული პოლიტიკური ტოქ-შოუ ანდა სერიოზული შემეცნებითი გადაცემა, რომელშიც საუბარი იქნებოდა საერთაშორისო მისიებში ქართველი სამხედროების მონაწილეობაზე!?

რთულად გასაშლელი თემაა, გადართავენ ტელევიზორს, რეიტინგს დაეკარგავთ, – ასეთია ჩემი კოლეგა ტელეჟურნალისტების არგუმენტები.


არ ვიცი, იქნებ, მართლებიც არიან? იქნებ ამდენი სამხედრო-პო-

ლიტიკური მარცხის შემდეგ საზოგადოება სამხედრო საქმისადმი გაუცხოვდა? თავი იჩინა გულგრილობამ სამშობლოდან ათასობით კილომეტრის დაშორებით მიმდინარე დაბალი ინტენსივობის კონფლიქტების მიმართ? ანდა სკეპტიციზმმა შეგვიპყრო ყველაფერ იმის მიმართ, რაც ხელისუფლების ხელით და სახელმწიფოს სახელით კეთდება?

ბოლომდე ვერც იმას გამოვრიცხავ, რომ ყოფილი ხელისუფლების მრავალწლიანი მძიმე „პროპაგანდისტული ბრეინუოშინგის“ შემდეგ მოსახლეობის დიდმა ნაწილმა მართლაც ირწმუნა, რომ ქართველი ჯარისკაცების ყოფნით ნატოს სარდლობით მიმდინარე საერთაშორისო ოპერაციებში საქართველო უფრო უახლოვდება ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს, იზრდება ქვეყნის იმიჯი და უფრო გარანტირებული ხდება ქვეყნის უსაფრთხოება.

„ჩვენ არამხოლოდ უსაფრთხოების მომხმარებლები ვართ, არამედ უსაფრთხოების გამცემებიც“, – ათწელიწადზე მეტი „მამაო ჩვენოსავით“ იმეორებენ და იმეორებენ ქართველი პოლიტიკოსები.

მეტიც, ეს პოლიტიკური სტერეოტიპი ინსტიტუციურად შეიმეცნა და ახალ სიმაღლეზე აიყვანა 1 ოქტომბრის შემდეგ მოსულმა ხელისუფლებამ. წინამორბედის მსგავსად საქართველოს ახალი ხელისუფლებაც ყველა ტრიბუნიდან იმეორებს, რომ 1600-კაციანი ქართული ქვედანაყოფი ავლანეთში დარჩება სამხედრო ოპერაციის ბოლომდე, ანუ 2014 წლამდე და, თუ საჭირო იქნება, შემდეგაც გააგრძელებს მისიას, როგორც ავლანეთის უსაფრთხოების ძალებისა და არმიის ინსტრუქტორ-კონსულტანტები.



იოტა iOS-ისთვის



ლიბერალი - ახლა უკვე თქვენს iPhone, iPad და iPod Touch-ზე

იპითხე ყველგან!

იპითხე კომპიუტერულად!

www.lit.ge

იოტა iOS-ისთვის საშუალებას გაძლევთ მარტივად იპითხოთ lit.ge-ს ნიშნები და პერიოდობა თქვენს iPhone, iPad და iPod Touch-ზე

კალიკანის გადმოსაწერად, თქვენი მონეტარილოგიდან iTunes-ზე მოძიებეთ „IOTA READER“



წინამორბედის მსგავსად, ახლანდელელებიც არ იკლავენ დიდად თავს იმისთვის, რათა გადაწყვეტილების მიღებამდე, ორი სიტყვით მაინც აუხსნან სამოქალაქო საზოგადოების თუნდაც აქტიურ ნაწილს, თუ ვინ და რა ავალდებულებს ნატოს არანეგირ საქართველოს ჰყავდეს ოთხჯერ მეტი ჯარისკაცი ავღანეთში, ვიდრე ალიანსის წევრ ბალტიისპირეთისა თუ ნატოს განვერიანების რიგში მდგარ ბალკანეთის ქვეყნებს – მაკედონიას, ბოსნია-ჰერცეგოვინას და ჩერნეგოვიას ჰყავთ ერთად აღებული? ანდა რატომ არ შეიძლება, რომ დავტოვოთ მხოლოდ ერთი ბატალიონი, მეორე კი გამოვიყვანოთ, როგორც ამას აკეთებენ კოალიციის სხვა წევრი სახელმწიფოები?

ასეთ შეკითხვებს ხშირად მიგზავნიან ხოლმე ჩემი ბლოგის კომენტატორები და ძალიან უკვირთ, რომ მე არ მაქვს მათზე პასუხები. მერე ბრაზდებიან: იცი და მალავ, რადგან დასავლურ მედიასში მუშაობ და იმიტომ ხარ ჩუმი – მამუნათებენ.

არ ვიცი, მართლა არ ვიცი, ჩემო მეგობრებო, რადგან ამ კითხვებზე არაგუმენტირებული და ამომწურავი პასუხი დღემდე არ მომისმენია, არც წინა და არც ამჟამინდელი ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან. მასხოვს, ოქტომბრამდე სააკაშვილის ხელისუფლების წარმომადგენლები „ჩემთვის“ მისხნიდნენ, რომ ეს საჭიროა ნატოში განვერიანებისათვის; ოქტომბრის შემდეგ კი „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები ასევე „ჩემთვის“ მისხნიან, რომ ვერ შეამცირებენ ქვედანაყოფს, რადგან ამ ნაბიჯს მისი ოპონენტები დასავლეთისგან დისტანცირების მორიგ მცდელობად შეაფასებენ და დიდ ვაიუშველებელს ატყვენ.

მოკლედ, ოქტომბრის შემდგომი კოჰაბიტაციისა და პოლიტიკურ ძალთა არსებული თანაფარდობის პირობებში ძალიან საინტერესო სურათი შეიქმნა. ჯარის საზღვარგარეთ გაგზავნა აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების დისკრეცია და ამ სენსიტიურ პოლიტიკურ საკითხში, დღევანდელ საპარლამენტო უმრავლესობას და უმცირესობას შორის სრული ჰარმონია სუფევს.

აგერ, სულ ახლახან საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ, მთავრობის სახელით ევროკავშირს დაუდასტურა მზადყოფნა, რომ დასავლეთ აფრიკის სახელმწიფო, მალიში კავშირის სახელით დაგეგმილ საერთაშორისო მისიაში ქართველი სპეციალისტებიც ჩაებან.

**■ ჯარისკაცების გაგზავნა
გაცილებით მარტივია, ვალმოხდილების ჯეროვანი პატივისცემა და მათი სრულფასოვანი ინტეგრაცია კი საკმაოდ რთულია და ამ ტვირთის ტარება მხოლოდ პროაქტიულ, საკუთარი თავის და საკუთარი ხელისუფლებისადმი თვითკრიტიკულად განწყობილ საზოგადოებას შეუძლია.**

როდესაც საკითხი კენჭისყრაზე დადგება, საქართველოს მთავრობის დადგენილებას საქართველოს პარლამენტის მხარდაჭერა გარანტირებული აქვს.

„მსოფლიოს მშვიდობისა და სტაბილურობის უზრუნველყოფის მიზნით, ევროკავშირის სამშვიდობო ოპერაციებსა და მისიებში თანამონაწილეობა მხოლოდ მისასალმებელია. მეორე მხრივ, მისიაში ქართველი სპეციალისტების მონაწილეობა პატივისცემის დემონსტრირებაა. ამ პროცესიდან ჩვენი სპეციალისტები კი დამატებით გამოცდილებას მიიღებენ“, – განაცხადა საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და ეროვნული უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ ირაკლი სესიაშვილმა.

გულწრფელად უნდა ვთქვა, ამ სიტყვებს მეც ხელს მოვანერდი. ევროკავშირი, რომლის ასობით უიარაღო სამხედრო დამკვირვებელი უკვე მეხუთე წელია იმყოფება საქართველოში და ცოცხალ კედლად დგას ქართველებსა და ოსებს შორის, – იმსახურებს იმას, რომ საჭიროების შემთხვევაში რამდენიმე ქართველი სპეციალისტიც წავიდეს სამშვიდობო მისიით მალიში და ქართული სახელმწიფო დროშა ევროკავშირის ეგიდით მიმდინარე სამშვიდობო ოპერაციის ზონაშიც აფრიალდეს.

ოღონდ არ უნდა დაგვავინწყეს ერთი რამ: ჯარისკაცების გაგზავნა გაცილებით მარტივია, ვალმოხდილების ჯეროვანი პატივისცემა და მათი სრულფასოვანი ინტეგრაცია კი საკმაოდ რთულია და ამ ტვირთის ტარება მხოლოდ პროაქტიულ, საკუთარი თავის და საკუთარი ხელისუფლებისადმი თვითკრიტიკულად განწყობილ საზოგადოებას შეუძლია. რაც მეტია უცხოეთში გაგზავნილი ჯარისკაცების რაოდენობა, მით მეტია საზოგადოების პასუხისმგებლობა.

საქართველოში კი, სოციალური თუ პოლიტიკური პრობლემებით შეწუხებულ საზოგადოებას თითქოს დაავინწყდა ათასობით კილომეტრით გაგზავნილი ქართული ქვედანაყოფი, რომელმაც ოთხწლიანი სამშვიდობო მისიის განმავლობაში ავღანეთში უკვე 19 ჯარისკაცი დაკარგა.

და მთავრი საკითხავიც სწორედ ისაა, თუ როგორ შეძლებს მსოფლიოს „ცხელი წერტილიდან“ სამშობლოში დაბრუნებული ვეტერანების დაფასებას ის საზოგადოება, რომლისთვისაც მეთაუბარისხოვანი მნიშვნელობა აქვს და მხოლოდ ხელისუფლების საზრუნავი ჰგონია ის, თუ სად იმყოფებიან მათი მეზრძოლები: კოსოვოში, ერაყში, ავღანეთსა თუ მალიში?! **■**

რატომ არიან მდიდარი ადამიანები მდიდრები

internet
banking



mobile
banking

მდიდარი ადამიანებისთვის
მნიშვნელოვანია ფულის
კონტროლი

შეასრულეთ ნებისმიერი
საბანკო ოპერაცია მობაილ ან
ინტერნეტ ბანკით 24/7.



თიბისი ბანკი
T B C B A N K

☎ 227 27 27 | 📠 * 27 27

www.tbconline.ge



ფოტო: ლევან ხაჩიასთან

"ვინაიდან სანატორიუმის ხარისხი ბევრად უფრო მაკმაყოფილებს, NATO-სა თუ ევროკავშირში უფრო ხარისხით მონაწილეობა უნდა ჰქონდეს"

ინტერვიუ პოლიტიკოს
ლევან ხაჩიასთან

ევროკავშირის ეგიდით დაწყებული მალის კრიზისის მართვის ოპერაციაში საქართველოს მონაწილეობის, ავღანეთის სამშვიდობო მისიაში ქართული კონტრიბუციის, ჩრდილო ატლანტიკურ ალიანსსა და ევროკავშირში განხორციელებისა და ახალი ხელისუფლების მიერ ამ კუთხით გადადგმული ნაბიჯების შესახებ, „ლიბერალი“ პოლიტოლოგ ლევან ხაჩიას ესაუბრა.

მაღის მისიაში საქართველოს მონაწილეობაზე საუბრისას, თავდაცვის მინისტრმა განაცხადა, რომ ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესებში შედის, რაც უფრო მეტად დაუახლოვდება ევროპას, ევროკავშირს, ასევე თავდაცვისა და უსაფრთხოების სტრუქტურებს. ამ მისიამ რა შედეგი შეიძლება მოუტანოს საქართველოს?

ასეთი ტიპის მულტინაციონალურ ოპერაციებში მონაწილეობა ქართული შეიარაღებული ძალებისთვის დადებითი მოვლენაა, ამას უამრავი პლუსი ახლავს, მაგრამ არ ვეთანხმები აზრს, რომ ეს NATO-სა ან ევროკავშირში განწევრიანებაში დაგვეხმარება. რა თქმა უნდა, ამან შეიძლება დადებითი ფონი შექმნას, მაგრამ ვერ იქნება გადამწყვეტი ფაქტორი, რომლითაც ამ ორგანიზაციებში საქართველოს მიღება-არმიღების საკითხი გადაწყდება. ვიცით, რომ უამრავი სერიოზული პრობლემა გვაქვს, როგორც ქვეყნის შიდა დემოკრატიის განვითარებასთან, ასევე ტერიტორიულ კონფლიქტებთან დაკავშირებით.

ვინაიდან ჩვენ ცენტრალურ კარს არ გვიღებენ, ვცდილობთ, რომ ამ გაერთიანებებში უკანა კარით შევიდეთ. გვჯერა, რომ ეს შესაძლებელია, მაგრამ ეს უკანა კარი რეალურად არ არსებობს. თუ მოგვცეს შაპი, ეს იმ კრიტერიუმებიდან უნდა გამომდინარეობდეს, რომლებსაც ჯერჯერობით ვერ ვაკმაყოფილებთ.

მაღის მისიაში მონაწილეობა საქართველოს ევროკავშირთან ურთიერთობაში, რა თქმა უნდა, ღირსებად ჩაეთვლება, მაგრამ ის, რომ ეს რალაცნაირად დააჩქარებს საქართველოს ევროკავშირთან მიახლოების პროცესს, ლოგიკურად არ მიმარჩნია. ევროკავშირის ინტერესშია, თუკი მაღიში საქართველოს კონტრიბუცია იქნება – ეს მათთვისაც კარგია და ჩვენთვისაც. ზოგადად, ევროკავშირთან დაახლოება გარდაუვალია, მოლდოვამ ცოტათი გაგვისწრო, მათ შემდეგ, წესით, ჩვენ უნდა ვიყოთ, იმიტომ, რომ რეგიონში მოლდოვას შემდეგ საქართველოა ის სახელმწიფო, რომელიც რეფორმების კუთხით კვოტირებს.

საქართველო ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის ის არანევირის სახელმწიფოა, რომლის კონტრიბუციაც ავღანეთის სამშვიდობო მისიაში საკმაოდ სოლიდურია. რამდენად ადეკვატური იყო საქართველოს მიერ აღებული ვალდებულება და რა დივიდენდები მოუტანა/მოუტანს ეს ქართულ მხარეს?

გასათვალისწინებელია, რომ ჩვენ არც ერთ

პოსტსაბჭოთა გაერთიანებაში არ შევდივართ, რომ სამხედრო თვალსაზრისით რაიმე გამოცდილება მივიღოთ, ამიტომაც, როგორც კი ასეთი მისია გამოჩნდება, ჩვენს სამხედროებს გამოცდილების შეძენის შანსი ეძლევათ. ავღანეთში მათ ყოფნას მხარს ვუჭერ, მაგრამ არა იმ რაოდენობით, რა რაოდენობითაც დღეს არიან წარმოდგენილები.

ჩვენ მაინც გვგონია, რომ არსებობს უკანა კარი, გადამწყვეტილება წინა ხელისუფლებამ მიიღო, ამას ახალი ხელისუფლებაც დაეთანხმა – არსებობდა აზრი, რომ თუ ავღანეთში ქართველი სამხედროების რაოდენობა გაიზარდებოდა, ეს ქვეყნის მინუსებს გადაფარავდა. ასე ვერ მოხდება და ამის შედეგებს ახლაც ვხედავთ. ვცდილობთ პაპზე უფრო მეტი კათოლიკეები ვიყოთ, რაც არ გამოდის. როდესაც არ გვაქვს ვალდებულება, საქართველოს მსგავსი პატარა ქვეყნისთვის ასეთ მისიაში ნომერ პირველ კონტრიბუტორობა ლოგიკური არ ჩანს. მოკავშირეები საქართველოს მონაწილეობას აფასებენ, თუმცა, მაინც ყველამ იცის, ამას რატომ ვაკეთებთ, ამას ვერ დამალავ.

საკითხავია, საჭიროა თუ არა საქართველომ ამხელა ტვირთი აიღოს თავზე. შეიძლება ვცდები, მაგრამ 1500 ქართველი იქნება იქ, თუ – 800, ეს ალიანსისა და საქართველოს ურთიერთობებში ბევრს ვერაფერს შეცვლის. წინა ხელისუფლება თვლიდა, რომ ეს არის ინვესტიცია, რომელიც ოდესმე შედეგს გამოიღებს. დიახ, ეს ინვესტიციაა, თუმცა გადამწყვეტი ფაქტორი ვერ იქნება. ახალ ხელისუფლებას დახვდა მოცემულობა, რომელსაც ვერ შეცვლის, რადგან ამ კურსიდან ოდნავ გადახვევასაც კი გამოებმება კუდი, რომ საქართველო NATO-სკენ აღარ ისწრაფვის.

საქართველოზე საუბრისას, ევროპელი პოლიტიკოსები ხშირად სამშვიდობო მისიაში ჩართულ სოლიდურ სამხედრო კონტრიბუციაზე ამახვილებენ ყურადღებას...

ავგისტოს ომის შემდეგ დასავლეთის ძალიან ბევრ დედაქალაქში დაისვა შეკითხვა, რამდენად მომგებიანია NATO-სთვის საქართველოს ალიანსში განწევრიანება. რაციონალურად გადათვალის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ამ გადამწყვეტილებას ბევრად მეტი უარყოფითი მხარე ჰქონდა, ვიდრე დადებითი. გაურკვეველი იყო, რა წვლილი შეიძლება საქართველოს მსგავს პატარა ქვეყანას ალიანსში შეეტანა. როდესაც სამშვიდობო მისიებში ჩვენი მონაწილეობა

■ საქართველოს განწევრიანებასთან დაკავშირებით დასავლეთში ერთიანი მიდგომა არ აქვთ. ჩვენ უკიდურესი რადიკალიზმისკენ გვაქვს მიდრეკილება, არ გავგაჩნია სტრატეგიული მოთმინების უნარი, თუნდაც რუსეთთან მიმართებაში – თუ ოკუპაციის პოლიტიკაზე დგახარ, ბოლომდე ასე უნდა მოიქცე და არ შებრუნდე 180 გრადუსით, რასაც ჩვენ ნელ-ნელა ვაკეთებთ. ხელს ასეთი ფაქტორებიც გვიშლის, ეს ზიგზაგები ჩვენს მოკავშირეებსაც აბნევს და არც NATO-სა თუ ევროკავშირთან დაახლოებას უწყობს ხელს.

გადანწყდა, ქართველი პოლიტიკოსები ხშირად იმეორებდნენ, რომ არა მარტო მომხმარებლები, არამედ კონტრიბუტორიც იყვნენ. დასავლეთი ორჭოფულ სიტუაციაშია, არ შეიძლება ამხელა კონტრიბუცია არ დაუფასო პატარა ქვეყანას, რომელსაც თავად აქვს უსაფრთხოების დილემა – ასე ახლოს ჰყავს მტერი და ამ დროს შენ გიგზავნის საბრძოლო დანაყოფებს, სწორედ ამის გამოხატულებაა ის უამრავი განცხადება, რაც საქართველოსთან დაკავშირებით ისმის.

რა არის ის ძირითადი პრობლემები, რის გამოც საქართველოს NATO-ში ინტეგრაცია ვერ ხერხდება?

რამდენ მისიაშიც არ უნდა იყოს საქართველო, ეს ვერ გადანწყვეტს ტერიტორიული კონფლიქტების პრობლემას. საქართველოს დღემდე გაურკვეველი საზღვრების გამო NATO-ს არც ერთ სახელმწიფოს არ სურს ომი რუსეთთან. ეს იმდენად სერიოზული პრობლემაა, რომ ამას ქართული ძალების სამხედრო მისიებში მონაწილეობა ვერ დაჩრდილავს.

საქართველოს განწევრიანებასთან დაკავშირებით დასავლეთში ერთიანი მიდგომა არ აქვთ. ჩვენ უკიდურესი რადიკალიზმისკენ გვაქვს მიდრეკილება, არ გაგვანჩია სტრატეგიული მოთმინების უნარი, თუნდაც რუსეთთან მიმართებაში – თუ ოკუპაციის პოლიტიკაზე დგახარ, ბოლომდე ასე უნდა მოიქცე და არ შებრუნდე 180 გრადუსით, რასაც ჩვენ ნელ-ნელა ვაკეთებთ. ხელს ასეთი ფაქტორებიც გვიშლის, ეს ზიგზაგები ჩვენს მოკავშირეებსაც აბნევს და არც NATO-სა თუ ევროკავშირთან დაახლოებას უწყობს ხელს.

შეიძლება გაგვიჩინდეს კითხვა – ხომ არ აქვს ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსს ორმაგი სტანდარტები? ესეც ლეგიტიმური შეკითხვაა, იმიტომ, რომ NATO-ში მიიღეს, მაგალითად, ალბანეთი, რომელიც არ მგონია საქართველოზე ბევრად წინ იყოს, თუმცა მათ არ ჰქონდა ისეთი პოლიტიკური პრობლემები, როგორც ჩვენ.

ახალ ხელისუფლებას პოლიტიკური ოპონენტები დასავლური კურსიდან გადახვევაში ადანაშაულებდნენ. რას აკეთებს მთავრობა ჩრდილო ატლანტიკურ ალიანსსა და ევროკავშირთან დაახლოებისთვის?

ახალი პოლიტიკური ძალა ჭრელია და სხვადასხვა სეგმენტებს შეიცავს, მათ შორის ისეთს, რომელიც დასავლური ღირებულებე-

ბით არ გამოირჩევა, თუმცა, საგარეო პოლიტიკაში ვერ ვხედავ ისეთ ცვლილებებს, იმის თქმის საფუძველი რომ გააჩინოს, თითქოს ქვეყნის სათავეში პრორუსული ხელისუფლება მოვიდა.

ჯერჯერობით ეს ხელისუფლება საზოგადოებრივი აზრის ზენოლის ქვეშაა, ამიტომაც, რაიმე ელემენტების შეცვლა რომც უნდოდეს, ამას სადღაც წლის ბოლოს ვნახავთ, როდესაც ახალი საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, ხელისუფლების ვერტიკალი მთლიანად ერთი პოლიტიკური ძალის გარშემო გაერთიანდება. ამის შემდეგ რეალურად ვნახავთ, თუ რა საგარეო პოლიტიკურ კურსს ვატარებთ.

ამ ეტაპზე შეინიშნება, რომ ახალ ხელისუფლებას ახალი ხედვები არ აქვს, მიყვებიან იმ ინერციას, რაც წინამ დატოვა, რაც პრინციპში ცუდი არ არის, მაგრამ პოლიტიკა ძალიან დინამიური პროცესია და ყოველ 2-3 წელიწადში რაღაც იცვლება, აქედან გამომდინარე, როცა ახალი ხელისუფლება მოდის, მან ახალი ხედვა უნდა მოიტანოს, დაიდოს დოკუმენტები, დაიწყოს განხილვები. ამას ვერ ვხედავ და ალბათ ასე დიდხანს ვერ გაგრძელდება.

რა ქმედითი ნაბიჯების გადადგმა შესაძლებელი არსებული ვითარების შესაცვლელად?

იუსტიციის სამინისტრო ერთადერთია, სადაც იგრძნობა, რომ რაღაც ჩაფიქრებულია და რაღაცას აკეთებენ. ჩვენი მოკავშირეები ჯერჯერობით ხედავენ რომ ქვეყანა წინ ვერ მიდის, თუ ინსტიტუციური რეფორმები განხორციელდა, თუ დასავლეთში დაინახეს, რომ საქართველო წინ მიდის, მაშინ შეიძლება ისე დაებრუნდეთ ჩვენთვის ხელსაყრელ სიტუაციაში. თუ საქართველოს ახლმა ხელისუფლებამ არ გაითავისა, რომ სხვადასხვა სფეროში ახალი ხედვები და შედეგები საჭირო, არაფერი გამოვა. ძველი დამსახურებები დიდხანს არ გაგყვება, მით უმეტეს, ეს ამ ხელისუფლებასთან არ არის ასოცირებული.

იმის ფონზე, რომ ფაქტიურად იდეოლოგიური ბრძოლა მიმდინარეობს და ამბობენ, რომ ქვეყნის სათავეში რეტროგრადები მოვიდნენ, ამასთან საბრძოლველად საუკეთესო გზაა აჩვენო, რომ რეფორმატორი ხარ, ამ კუთხით სიახლეებს ჯერ ვერ ვხედავ. ამის მიზეზი ზოგჯერ ხედვის ნაკლებობა მგონია, ხანდახან კი ვფიქრობ, რომ ახალ ხელისუფლებას არ ჰყავს ის ხალხი, რომელიც ამას გააკეთებდა. **■**

ესაუბრა გიორგი ჭეიშვილი

ნატახტარი მზრუნველობამოკლებულ მოზარდებს ეხმარება



„იზრუნე მომავალზე“ – საქველმოქმედო პროექტი, რომელსაც „ნატახტარი“ და არასამთავრობო ორგანიზაცია „ჩვენი სახლი – საქართველო“ ახორციელებს

27 მარტს სასტუმრო „რედისონ ბლუ ივერიაში“ კომპანია ნატახტარმა ასოციაცია „ჩვენი სახლი – საქართველოსთან“ ერთად პრესკონფერენცია გამართა და საზოგადოებას საქველმოქმედო სფეროში საკუთარი 1-წლიანი მუშაობის ანგარიში გააცნო.

„იზრუნე მომავალზე“ – ასე ეწოდება საქველმოქმედო პროექტს, რომელსაც „ნატახტარი“ და არასამთავრობო ორგანიზაცია „ჩვენი სახლი – საქართველო“ ახორციელებენ. პროექტის ფარგლებში ნატახტარი საკუთარი გაყიდვებიდან შემოსული თანხის ნაწილს მზრუნველობამოკლებული მოზარდების დასახმარებლად შექმნილ ფონდ „ნატახტარში“ მიმართავს. ფონდი კი მზრუნველობამოკლებულ მოზარდებს დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მომზადებაში და სათანადო უნარ-ჩვევებისა და პროფესიული გამოცდილების შექმნაში ეხმარება.

არასამთავრობო ორგანიზაცია „ჩვენი სახლი – საქართველოს“ წარმომადგენელი, მანანა ომარაშვილი მოზარდებთან მუშაობის საფეხურებს გამოყოფს, რომლებიც პროფესიულ ორიენტაციას, პროფესიულ კონსულტაციას, პრევენციას, ინტერვენციასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის ხელშეწყობას ითვალისწინებს.

2012 წლის მანძილზე პროექტმა 72-მდე მზრუნველობამოკლებული მოზარდი მოიცვა. პროგრამაში ჩასართავად ფონდმა 16-დან 18 წლამდე მოზარდებზე გააკეთა არჩევანი. სამომავლოდ კი ასაკობრივი კრიტერიუმი 15-დან 18 წლამდე დაიწესა, ხოლო პროგრამაში ჩართული მოზარდების რაოდენობა გაიზარდა.

„იმისთვის, რომ მოზარდების საზოგადოებაში ინტეგრაციას შეუწყობთ ხელი, სამიზნე ჯგუფად ყველაზე კრიტიკული ასაკის წევრები გამოვკვეთეთ. როდესაც მოზარდები 18 წლის ხდებიან, სახელმწიფო მათზე ბრუნვას წყვეტს, თუმცა ისინი ყოველთვის მზად არ არიან დამოუკიდებელი ცხოვრების დასაწყებად“, – ამბობს „ნატახტარის“ მარკეტინგის მენეჯერი თორნიკე ნიკოლეიშვილი.

ფონდი ნატახტარი და არასამთავრობო ორგანიზაცია „ჩვენი სახლი – საქართველო“ მოზარდებს რამდენიმე კუთხით ეხმარება. მოზარდები პროგრამას სრულწლოვანების შესრულების შემდეგაც არ ტოვებენ მანამ, სანამ მათი დამოუკიდებლად ცხოვრებისათვის გარკვეული წინააღობები არსებობს.

ამ დროისთვის პროგრამა 10-მა ბენეფიციარმა დატოვა, რადგან ანაზღაურებადი სამსახური იშოვეს და დამოუკიდებლად ცხოვრე-

ბა დაიწყეს. მოზარდების ანაზღაურებად სტაჟირებასა და შემდგომ დასაქმებაში ჩართული იყვნენ „ნატახტარის“ პარტნიორი კომპანიებიც. მოზარდთა ნაწილი სწორედ მათ სადისტრიბუციო ქსელში დასაქმდა. ზოგიერთი ბენეფიციარი სამუშაოდ რეგიონებში გადავიდა, 4-მა მათგანმა კი ოჯახიც შექმნა.

მოზარდების დასახმარებლად აქცენტი მათთვის პროფესიული განათლების უზრუნველყოფაზე კეთდება. მოზარდის მონაცემებისა და პროფესიაზე მოთხოვნადობის გათვალისწინებით მოზარდისთვის არჩევენ სასწავლო კუარსებს, ან შეგირდად აბარებენ წინასწარ შერჩეულ ოსტატთან. თორნიკე ნიკოლეიშვილი ხაზს უსვამს, რომ ცალკეული ორგანიზაციებისა თუ ადამიანების მხრიდანაც თანამშრომლობისთვის დიდი მზაობაა და ისინი ცდილობენ ხელი შეუწყონ ფონდის საქმიანობას.

მოზარდების სურვილის შემთხვევაში ფონდი მათ უმაღლესი განათლების მიღებასა და ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის მომზადებაშიც ეხმარება. წელს ეროვნული გამოცდების ჩაბარებას ნ ბენეფიციარი აპირებს. „ჩვენ თითქმის დარწმუნებულეი ვართ, რომ მათი უმეტესობა სტუდენტი გახდება“, – ამბობს მანანა ომარაშვილი. სწავლების პერიოდშიც მოზარდების გადაადგილების, კვებისა და სწავლების ხაჯებს ფონდი ფარავს.

2011 წლიდან დღემდე ფონდისთვის ფულის შეგროვების ორი ეტაპი დასრულდა და ნატახტარმა მოზარდების დასახმარებლად 243 ათასი ლარი შეაგროვა. აქედან 133 ათასი ლარი უკვე დაიხარჯა 2012 წელს მოზარდთა ხელშესაწყობად. ხარჯების 44% ფსიქოლოგიურ მომსახურებაზე მოდის, 46% მოზარდთათვის სწავლისა თუ სხვა მომსახურებებზე, 10%-ს კი ადმინისტრაციული ხარჯები შეადგენს.

ნატახტარი საქველმოქმედო კამპანიას აგრძელებს და ფონდში თანხის შეგროვების დამატებით წყაროებზე საუბრობს. მოზარდების დახმარების პროექტი საქართველოს პატრიარქის თანადგომითა და ლოცვა-კურთხევით ხორციელდება.



ავტონული დროუხები

„ყველაზე გახურებული სროლის დროსაც კი გამუდმებით მანუხებდა ერთი კითხვა, რატომ წერენ და ბეჭდავენ იმას, რაც სულაც არ არის მნიშვნელოვანი და პირიქით, არასოდეს არ წერენ იმაზე, რაც ყველაზე მთავარია და მნიშვნელოვანი?“

– კითხულობდა ცნობილი მემარცხენე, რეპორტიორი, სამხედრო კორესპონდენტი და ჯარისკაცი, ჩეხი ეგონ ერვინ კიში.

ავტორი: ბექა ქურხული, ფოტო: გიორგი გოგუა

ბანსაუთიხაბელი მადლობა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბანაული დახმარებისთვის, და ჯომანია "უნიტას" მთავარი თემის სპონსორებისთვის



20 მარტი

სახელითა ალაჰისა, მოწყალისა და მწყალობლისა... თავდაცვის სამინისტროსთან წარმოებული ხანგრძლივი, გულისხმიერი და გულმოდგინე მოლაპარაკება, ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა შედეგიანად, სასიკეთოდ, ორმხრივი შეთანხმებით დასრულდა და „ლიბერალიც“ ავღანეთის გზას დაადგა, ამ ქვეყნის სხვადასხვა პროვინციებში, ამერიკისა და ნატოს ISAF სამხედრო ბაზებზე დისლოცირებული 1600-კაციანი ქართული კონტიგენტის მოსანახულებლად.

ქართული სამხედრო შენაერთები 2009 წლიდან მონაწილეობდნენ საერთაშორისო სამშვიდობო ოპერაციებში, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის წარმომადგენლებთან ერთად. ავღანეთში ქართული სამხედრო კონტიგენტი, ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის სხვა შეიარაღებული ძალების შემდეგ, ერთ-ერთი ყველაზე მრავალრიცხოვანია.

ამ წლების განმავლობაში, საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა 19 სამხედრო მოსამსახურე დაკარგა, თითქმის ორჯერ მეტი კი დაიჭრა და დასახიჩრდა. ბუნებრივია, ასეთმა დანაკარგმა საზოგადოების გარკვეულ ნაწილში კითხვები და მეტიც, პროტესტი გააჩინა. სულ უფრო ხშირად ისმოდა შეკითხვა, თუ რამდენად აუცილებელია ქართველი ჯარისკაცების ავღანეთის სამხედრო ოპერაციაში მონაწილეობა და, მით უმეტეს, ამ რაოდენობით, როდესაც, მაგალითად, ესტონეთი, რომელიც ნატოს და ევროკავშირის წევრია, სულ 100 სამხედრო მოსამსახურით არის წარმოდგენილი და ჩვენებისგან განსხვავებით, ავიაციის გამოძახების უფლებაც აქვთ. მთელი ამ წლების განმავლობაში, ასევე არ წყდება კულისებმილმა საუბრები იმის შესახებ, რომ ქართულ სამხედრო შენაერთებს, ყველაზე რთულ, რისკიან და აქტიურ ზონებში უშვებენ, – ჰელმანდისა და ყანდაჰარის პროვინციებში. ისევე როგორც თავის დროზე ერაყშიც, სწორედ თიქრიტში, სადამ ჰუსეინის სამშობლოში იყვნენ დისლოცირებული, რომ ქართველ ჯარისკაცებს უფრო ნაკლებად უფრთხილდებიან, ვიდრე თავის სამხედროებს, რომ ქართველები უფრო ნაკლებ ანაზღაურებას იღებენ, ვიდრე სხვები...

დარწმუნებული ვარ, მსგავსი ინფორმაციების მიღების და გადამოწმების მხოლოდ ერთი

საშუალება არსებობს. უნდა ადგე და თავად ჩახვიდე იქ, სადაც ეს ამბები ხდება და საკუთარი თვალით ნახო ის, რაც გაინტერესებს. მით უმეტეს, რომ არამცთუ რამდენიმე დღე და კვირა, ამა თუ იმ კომფლიქტის ზონაში რამდენიმეთვიანი ყოფნაც კი არ გაძლევს გარანტიას, რომ ზუსტად და ნათლად დაინახავ, ასახავ თუ გადმოსცემ იქაურ მოვლენებს. მით უმეტეს, წარმოუდგენელია ავღანეთის ომის და ამ კონფლიქტში ქართული შეიარაღებული ძალების მონაწილეობა-არმონაწილეობის მიზანშეწონილობაზე, რისკის, სარგებლის თანაფარდობაზე, ავღანეთში მომსახურე სამხედროების მდგომარეობაზე თბილისში, რედაქციებიდან ან ბარნოვის ღია კაფეებიდან იმსჯელო.

რა მინდოდა ავღანეთში? საერთოდ რა გვინდა ავღანეთში? არ ვიცი. ყველაზე უცნაური კი ის არის, რომ ავღანეთი ქართველების ბედისწერად იქცა, თუ ჩვენ ვიქვეით ავღანელების ბედისწერად, ირანელებთან გვქონდა საქმე, ავღანეთში ვომობდით, რუსებთან – ავღანეთი, ახლა ამერიკა და ისევე ავღანეთი. რატომ? როგორ ხდება ასეთი ამბები? კანონზომიერებაა, ბედისწერაა თუ დამთხვევა? მართლა არ ვიცი და როგორც უკვე გითხარით, სულაც არ მქონია იმის იმედი თუ ილუზია, რომ ავღანეთში ჩასვლით ამ კითხვებს რაიმე კონკრეტულ პასუხებს მოვუძებნიდი და გავცემდი.

ამის მიუხედავად 20 მარტს დილის 6 საათზე სტამბულის გავლით გავემგზავრეთ ქაბულისკენ. გიორგი გოგუა და მე პირდაპირ აეროპორტში შევეურთდით თავდაცვის სამინისტროს დელეგაციას, რომლის შემადგენლობაშიც იყვნენ – გაერთიანებული შტაბის უფროსის მოადგილე, ბრიგადის გენერალი ვახტანგ კაპანაძე, 1 – 2 სარდალი, პოლკოვნიკი გიორგი კვირიკაშვილი, რომელიც საბჭოთა კავშირის დროსაც, 1986-1988 წლებში ავღანეთში მსახურობდა, 1 – 3 სარდალი პოლკოვნიკი გიორგი სურმავა, თავდაცვის მინისტრის მოადგილე ზაზა ბროლაძე და სახელმწიფო მინისტრი ევროპისა და ევროატლანტიკურ სივრცეში რეინტეგრაციის საკითხებში, ალექსი პეტრიაშვილი, თავდაცვის მინისტრის მრჩეველი ვაკო ავალიანი, ნატოში თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო წარმომადგენელი თამარ კეკელიძე,

სტამბულში საქართველოს საკონსულოს თანამშრომლები დაგვხვდნენ და პირდაპირ

■ რა მინდოდა ავღანეთში? საერთოდ რა გვინდა ავღანეთში? არ ვიცი. ყველაზე უცნაური კი ის არის, რომ ავღანეთი ქართველების ბედისწერად იქცა, თუ ჩვენ ვიქვეით ავღანელების ბედისწერად, ირანელებთან გვქონდა საქმე, ავღანეთში ვომობდით, რუსებთან – ავღანეთი, ახლა ამერიკა და ისევე ავღანეთი. რატომ? როგორ ხდება ასეთი ამბები? კანონზომიერებაა, ბედისწერაა თუ დამთხვევა?



შეხვედრა ქართულ სამხედრო კონტინგენტთან, ფრანგული ბაზა „ვერპაუზი“, ქაბული, 21 მარტი 2013

შემიძლია გითხრათ, თან გადაგვყვენენ. ბოლო წამამდე არ მოგვცილებიან და თვითმფრინავის ტრაპამდე მიგვაცილებს, იმის მიუხედავად, რომ სტამბულის დროით სალამოს 7 საათიდან დილის 4 საათამდე ჩვენთან ერთად მოუწიათ ყურყუტი. 2 საათისთვის გათვალისწინებული ფრენა 4 საათისთვის გადაიდო, რადგან ქაბულში მაგარი ნისლი ჩამოწვა და აეროპორტი თვითმფრინავებს ველარ იღებდა.

21 მარტი

სწორედ მაშინ გავიღვიძე, როცა თენდებოდა. პირველად ვნახე მზის ამოსვლა ასე ცაში გამოკიდებულმა. ქვევით, ნაფლეთ-ნაფლეთ ღრუბლებში, თოვლიანი ხრიოკი მთები ჩანდა.

ზემოდან ავლანეთი უცხო პლანეტას ჰგავს. მხოლოდ მთები, ბორცვები და უცნაურად დახეული ხეობები, წითელი, გადახრიოკებული მინა, ქაბულამდე ვერც ერთი დასახლებული პუნქტი ვერ შევნიშნე, მხოლოდ უსიცოცხლო კანიონები.



საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დელეგაციის შეხვედრა გენერალ-ლეიტენანტ ნიკ კარტერთან და ნატოს ელჩთან ავლანეთში, მაურიც იოახიმთან, „ISAF“-ის ცენტრალურ ბაზა, ქაბული, 21 მარტი 2013

ეს ყველაფერი კიდევ უფრო თვალშისაცემი იყო უზარმაზარი, კიდით კიდემდე გადაშლილი, დაუსრულებელი და გაჩახჩახებული სტამბულის შემდეგ, რომლის ერთი უბნის

ხმაური, ყიჟინა, სურნელი და ბედნიერება მთელს ავღანეთს რამდენიმე ათეული წელი ეყოფა. სხვათაშორის, ეგეც არ ვიცი, როგორ და რატომ ხდება. აი ეგ, ერთს რომ ერთი ერ-გუნება, მეორეს – მეორე და მერე თითქოს დამთავრებულია, თითქოს ამას აღარაფერი ემველება.

ქაბულის აეროპორტში პირველი, რაც თვალში მომხვდა, ცნობილი ავღანელი საველე მეთაურის, „პენშარის ლომად“ წოდებული აჰმად შაჰ მასუდის უზარმაზარი ფოტო და წარწერა იყო; – „Welcome to the hand of the brave“. თუმცა თეთრ ხიფთანებში გამოხვეული ფეხშიშველი და გაჩეჩილთმიანი თვალებარეული ადგილობრივების დანახვაზე ძნელად თუ წარმოიდგენს ვინმე, რომ ეს სწორედ ის ავღანელები არიან, რომლებმაც უკვე საუკუნეებია სახელი გაითქვეს, როგორც მაგარმა მეომრებმა. ტანმორჩილი ხალხის იერზე ცხადად იკითხება, რომ ამ ტერიტორიაზე ალექსანდრე მაკედონელიდან მოყოლებული ათასი ტომის, ჯურის, ჯიშისა და მოდგმის ხალხმა გაიარა, და ყველამ თავისი კვალი დატოვა. ავღანეთის მრავალფეროვანი მოსახლეობა აბსოლუტურად განსხვავდება ერთმანეთისგან – აქ ცხოვრობენ – პუშტუნები, ტაჯიკები, უზბეკები, შიიტი ხაზარები, ბახთიარები და ა.შ. ამ ხალხებს საერთო ტერიტორიის გარდა ერთმანეთთან თითქმის არაფერი აქვთ, არც ეთნიკური, არც ლინგვისტური, არც ეთნოგრაფიული თუ ანთროპოლოგიური თვალსაზრისით. ამიტომ აქ ნებისმიერი გარეგნობის ავღანელს შეხვედებით მონღოლოიდური, თურქული, ფარსული თუ სემიტური ნიშნებით. ამ მრავალეთნიკურ და ჭრელ მოსახლეობას მხოლოდ ორი რამ აერთიანებთ: პირველი რელიგია და მეორე, აბსოლუტური გაუცხოება გარე სამყაროს მიმართ. ეს ორი ფაქტორი ძალიან მტკიცედ აერთიანებთ, მაგრამ ამაზე ქვემოთ.

ქაბულის აეროპორტში გამოსვლისთანავე ქართველი სამხედროები, ბრონირებული ჯიპებით დაგვხვდნენ. ნაჩქარევი სალმისა და მოკითხვის შემდეგ, სასწრაფოდ ჩავგსხეს მანქანაში და სწრაფად დაიძრნენ ადგილიდან. რაციებში განუწყვეტელი გადაძახილი ისმოდა: – „სწრაფად... გადაკეტეთ... არ გაატარო, ჩავიდგება... სამი მეტრის დისტანციაზე... რა სამი მეტრი, შეიდტონიანი მანქანებია... მაგრამ, ბატონო პოლკოვნიკო, ძალიან ცუდი მოძრაობაა... გააკეთეთ, რასაც გეუბნებით



ქართველი სამხედროები ამერიკელ საზღვაო ქვეითებს ავილოვებენ, პელმანდი, ბაზა ლეზერნიქი, 22 მარტი 2013

და წესიერად იარეთ, არანაირი სამი მეტრი,... არის!“ – რომელიც კიდევ ერთხელ გახსენებდა, რომ მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე ცხელ წერტილად მიჩნეული ტერიტორიის, ფეთქებადი და საშიში ქვეყნის, ავღანეთის დედაქალაქის ქუჩებში მოძრაობდი.

პირველი პუნქტი, სადაც გავჩერდით, ქაბულში „ISAF“-ის ცენტრალური ბაზა იყო, სა-

■ ქაბულის აეროპორტში პირველი, რაც თვალში მომხვდა, ცნობილი ავღანელი საველე მეთაურის, „პენშარის ლომად“ წოდებული აჰმად შაჰ მასუდის უზარმაზარი ფოტო იყო და წარწერა; – „Welcome to the hand of the brave“ თუმცა თეთრ ხიფთანებში გამოხვეული ფეხშიშველი და გაჩეჩილთმიანი თვალებარეული ადგილობრივების დანახვაზე ძნელად თუ წარმოიდგენს ვინმე, რომ ეს სწორედ ის ავღანელები არიან, რომლებმაც უკვე საუკუნეებია სახელი გაითქვეს, როგორც მაგარმა მეომრებმა.



დაც შედგა შეხვედრა ქართულ დელეგაციასა და ნატოს „ISAF“-ის მისიის მოადგილესთან, გენერალ-ლეიტენანტ ნიკ კარტერთან და ნატოს ელჩთან ავღანეთში, მაურიც იოახიმთან.

შეხვედრის შემდეგ სამხედრო ბაზა „ფენიქსისკენ“ ავიღეთ გეზი. ქაბულის ქუჩები და ამ ქუჩებზე მოძრაობა კიდევ ცალკე თემაა. ჩემი და გიორგის ქალაქში მარტო გავლახე

საუბარიც კი ზედმეტი იყო. ქაბულში სამხედროებიც კი – და ეს ნებისმიერი ქვეყნის კონტიგენტს ეხება – მხოლოდ დაჯავშნული ჯიპებით გადაადგილდებიან.

თუმცა ბრონირებული მანქანის ფანჯრებიდან დანახული პეიზაჟებითაც ცხადად იგრძნობოდა ყველა ის უბედურება და ნგრევა, რაც ამ ქალაქმა მთელი ორმოცი წლის გან-



■ ბევრი ფაქტორი განაპირობებს ამ ქვეყნისა და დანარჩენი სამყაროს, მათ შორის, იმავე მუსულმანურ ქვეყნებს შორის ორმხრივი გაუცხოების, შეუთავსებლობის განცდას და ასე იკვრება დახურული, და უამრავი საფრთხის შემცველი ჯადოსნური წრე სახელად – ავღანეთი!

მაგლობაში ჯერ საბჭოთა ოკუპაციისა და მერე კი სხვადასხვა ადგილობრივი სამხედრო დაჯგუფებების შორის შიდა, შეიარაღებული, სასტიკი და სისხლისმღვრელი დაპირისპირების შედეგად გადაიტანა. ქაბულში დღემდე არ არის კანალიზაცია, ცენტრალურ პროსპექტზე ყოველ ხუთ-ათ მეტრში, ქუჩის ორივე მხარეს, პირდაპირ ტროტუარზე სხედან ჩადრებში გამოხვეული ქალები, პატარა ბავშვები და მონყალებას ითხოვენ. ყოველ გზაჯვარედინზე ადგილობრივი ავღანური პოლიციის ბლოკ-პოსტები დგას. ქალაქში ერთმანეთს ენაცვლება საბჭოთა კავშირის დროს აშენებული უსახური კორპუსები, ეგრეთ წოდებული „ხრუშჩოვკები“ და ადგილობრივი ალიზით ნაშენი სახლები, მათ შორის კი პირდაპირ ნაგავსაყრელებში პატარა ბავშვები ირევინ. ქაბულის ქუჩებში ნებისმიერი სახის ტრანსპორტს შეხვდებით, ჯავშანტექნიკით დაწყებული, ვირის საზიდით დამთავრებული. მარტის დასაწყისში, ავღანეთის ამჟამინდელი პრეზიდენტის ჰამიდ ყარზაის განცხადებ-

ის მიუხედავად, რომელმაც ფაქტობრივად ბრალი დასდო ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლებას თალიბებთან ცალმხრივი და ლამის სეპარატულ მოლაპარაკებებში, რჩება შთაბეჭდილება, რომ ჰამიდ ყარზაის ხელისუფლება (რომელიც, სხვათა შორის, თავის დროზე, სწორედ აჰმად შაჰ მასუდის მარჯვენა ხელი იყო) მთლიანად ამერიკის შეერთებული შტატებისა და ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ძალისხმევაზე დამოკიდებული და დამყარებული. ამერიკის სახელმწიფო მდივანთან ჯონ კერისთან მისი ბოლო დროინდელი შეხვედრაც, სადაც მან ფაქტიურად უკან წაიღო თავისი განცხადება, ალბათ ისევე ამ ტენდენციას მტყვევებს. ასეა თუ ისე, ავღანეთი კვლავაც რჩება მსოფლიოს ერთ-ერთ უღარიბეს და ფეთქებადსაშიშ ქვეყნად. ავღანეთის და მისი მაცხოვრებლების ტრაგედიას უამრავი ობიექტური, ისტორიული, სოციალ-ეკონომიკური თუ ეთნო-ფსიქოლოგიური საფუძველი აქვს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, გაიზარდა თაო-



სამხედრო სწავლება, ქართული ბაზა „ლაზიკა“, ჰელმანდი, 22 მარტი 2013

ბები, რომლებმაც „კალაშნიკოვის“ სისტემის ავტომატისა და ასაფეთქებელი ნივთიერებების დამზადების მეტი არაფერი იციან. ავღანელთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ ისიც კი არ იცის, რამდენი წლისაა. ძალიან ზერეულე წარმოდგენა აქვთ ისლამზე – რელიგიაზე, რომელსაც ამდენი ხანია ასეთი ფანატიზმით ეწირებიან. ამას ემატება ისიც, რომ ავღანეთი ოპიუმის წარმოებით მსოფლიოში პირველ ადგილზეა და ტრადიციულად მისი ერთ-ერთი მთავარი მომწოდებელი და ექსპორტიორია. ავღანეთში ოპიუმის წარმოების და მოყვანის დაახლოებით ისეთივე ტრადიცია და კულტურა არსებობს, როგორც საქართველოში ვენახის, ვაზისა და ღვინის. შედეგად ეს და კიდევ ბევრი სხვა ფაქტორი განაპირობებს ამ ქვეყნისა და დანარჩენი სამყაროს, მათ შორის იმავე მუსულმანურ ქვეყნებს შორის ორმხრივი გაუცხოების, შეუთავსებლობის განცდას და ასე იკვრება დახურული, და უამრავი საფრთხის შემცველი ჯადოსნური წრე სახელად – ავღანეთი!



საცეცხლე წერტილი, ქართული ბაზა „ლაზიკა“, ჰელმანდი, 22 მარტი 2013

მას შემდეგ, რაც „ფენიქსის“ ბაზაზე დავბინავდით და ცოტა სული მოვითქვით, თავდაცვის სამინისტრო დელეგაციამ, გენერალ ვახტანგ კაპანაძის ხელმძღვანელობით, ფრან-

გულ ბაზა „ვერჰაუზზე“ გადაინაცვლა, სადაც ქართული ოცეული მსახურობს. ფრანგულ ბაზაზე, გერმანული ჯავშნოსანი მანქანები, „ემრაფები“, ფრანგულმა „ვაბებმა“ შეცვალეს. გენერალმა სიტყვით მიმართა ქართულ ოცეულს, შემდეგ კი გაიმართა აბსოლუტურად შინაურული საუბარი ქართველ სამხედროებს, გენერალ კაპანაძის დელეგაციის წარმომადგენლებსა და პოლკოვნიკ ალიკა კიკნაძეს შორის, რომლის დროსაც სხვადასხვა სამხედრო, სამეურნეო თუ სოციალური საკითხები განიხილეს. შეხვედრის ბოლოს გენერალმა იმედი გამოთქვა, რომ მომდევნო დღის – 22 მარტის საფრანგეთ-საქართველოს საფეხბურთო მატჩზე ფრანგული ბაზა „ვერჰაუზზე“ გამარჯვებას სწორედ ქართული ოცეულის წარმომადგენლები იზეიმებდნენ. თუმცა, ჩვენი ავლანეთში ყოფნის დროს ეს ალბათ ერთადერთი შემთხვევა იყო, როცა გენერლის სიტყვას, ინტონაციას და გამოსვლას დამაჯერებლობა აკლდა.

„ვერჰაუზის“ ფრანგულ ბაზაზე განლაგებულ ქართულ ოცეულთან შეხვედრის შემდეგ, კვლავ „ფენიქსის“ ბაზაზე დავბრუნდით. დასრულდა ჩვენი პირველი დღე ავლანეთში.

22 მარტი

ამ დღეს დილიდან შევიკრიბეთ და საუზმის შემდეგ ჩვენი კოლონა, რომელიც ოთხი დაჯავშნული „ტოიოტას“ მარკის სამხედრო ჯიპისაგან შედგებოდა, სამხედრო აეროპორტისკენ დაიძრა. მანქანებშიც და სამხედრო ვერტმფრენებსა თუ თვითმფრინავში სრულიად აუცილებელი იყო ჯავშანფილეთის ჩაცმა და სამხედრო მუხარადის დახურვა, რამაც სიმართლე რომ ვთქვა, გვარიანად მომაბეზრა თავი. ბაზიდან სამხედრო კოლონის შესვლა-გამოსვლა მთელი ცერემონიაა, ბაზაზე შესვლისას თვითოეული მანქანა ცალ-ცალკე რამდენჯერმე და საფუძვლიანად მონმდება. ბაზის ტერიტორიაზე გადაადგილება მხოლოდ 10 კმ. სთ-შია შესაძლებელი. ბაზიდან გასვლის დროს, პირველი მანქანა ქუჩას კეტავს, რასაც ქაბულის არეულ მოძრაობაში, სადაც ყველანაირი, სულიერი თუ უსულო ტრანსპორტი თავის ნებაზე და თავის გზაზე მიერეკება, ძალიან დიდი მოხერხება და სიმარჯვე სჭირდება. ერთხელ ასეთი გზის გადაკეტვისას, მთელი სისწრაფით წამოსული მანქანა კინალამ ზედ აგვასკდა, რასაც, როგორც ჩვენს, ისე ქაბულელების მანქანაში

ქართულ-ავლანური ფოლკლორისა და სკაბრეზული მახვილსიტყვიერების დემონსტრაცია მოჰყვა. არც ერთ მხარეს არაფერი გვესმოდა, მაგრამ ჩვენი სახის გამომეტყველება ცხადყოფდა, რომ როგორც ქართველ გიორგი XI-ს, ისე ავლანელ მირ-ვეისს ღირსეული შთამომავლები დაუტოვებიათ.

გზის გადაკეტვის შემდეგ, პირველი მანქანა წინ ატარებს თავის უკან მომყოლ სამ მანქანას და თვითონ არიერგარდში ჩამკეტად რჩება. თავდასხმის შემთხვევაში მანქანები არ ჩერდებიან, პირიქით, სისწრაფეს უმატებენ და შეძლებისდაგვარად შორდებიან თავდასხმის ადგილს. საპასუხო ცეცხლის გახსნა და ე.წ. „სწრაფების“ ანუ ქართული „სწრაფი რეაგირების კორპუსის“ გამოძახება მხოლოდ იმ შემთხვევაში ხდება, თუ ერთ-ერთი მანქანა იმდენად დაზიანდება, რომ გზას ვეღარ განაგრძობს და მის ეკიპაჟს დახმარება დასჭირდება.

აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ თუ ქაბულში, ჰელმანდში და საერთოდ მთელ ავლანეთში რაიმემ სასიამოვნოდ გაგვაოცა, ეს იყო ქართული ჯარის და ქართველი სამხედროების საბრძოლო სულისკვეთება. რა თქმა უნდა, ჯარის სამხედრო ტაქტიკურ, სტრატეგიულ, ოპერატიულ განათლებაზე და მის ტექნოლოგიურ მდგომარეობაზე თუ თანამედროვედ აღჭურვაზე ჩვენ ვერ ვიმსჯელებთ, ეს პროფესიონალების საქმეა, მაგრამ სრულიად გულწრფელად და ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შემიძლია გითხრა, რომ მხედრული შემართების და საბრძოლო სულისკვეთების თვალსაზრისით, ქართულ არმიამ, ყოველ შემთხვევაში, მის ავლანურ კონტიგენტში, ყველაფერი წესრიგშია. ამაზე შეგვიძლია თავი დავდოთ. ეს თავად ჩემთვის სასიამოვნო მოულოდნელობა და სიურპრიზი იყო. 2008 წლის აგვისტოს ომში დამარცხების, მით უმეტეს, იმ რეპრესიების შემდეგ, რაც არმიამ მთელი ამ ხნის განმავლობაში გადაიტანა, რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ ქართულ არმიას გული ჰქონდა გატეხილი, საბრძოლო სულისკვეთება კი – საბოლოოდ ჩაქრობოდა.

სულაც არ მინდა დაგვჩეთ შთაბეჭდილება, თითქოს რაიმეს ან ვინმეს, თუნდაც ქართული ჯარის გაიდელალებს ვცდილობდე. რასაკვირველია, არსებობს უამრავი პრობლემა, რომელზეც არ შეიძლება მედიაში საუბარი ქვეყნის სახელმწიფო და სამხედრო ინტერესებიდან და მისი უსაფრთხოებიდან

■ სრულიად გულწრფელად და ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შემიძლია გითხრა, რომ მხედრული შემართების და საბრძოლო სულისკვეთების თვალსაზრისით, ქართულ არმიამ, ყოველ შემთხვევაში, მის ავლანურ კონტიგენტში, ყველაფერი წესრიგშია. ამაზე შეგვიძლია თავი დავდოთ. ეს თავად ჩემთვის სასიამოვნო მოულოდნელობა და სიურპრიზი იყო. 2008 წლის აგვისტოს ომში დამარცხების, მით უმეტეს, იმ რეპრესიების შემდეგ, რაც არმიამ მთელი ამ ხნის განმავლობაში გადაიტანა, რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ ქართულ არმიას გული ჰქონდა გატეხილი, საბრძოლო სულისკვეთება კი – საბოლოოდ ჩამქრალი.



ლუკოილი
ნავთობკომპანია

სწრაფი და ზუსტი აღრიცხვა
კორპორატიული მომხმარებლისათვის

www.lukoil.ge



გამომდინარე, მაგრამ საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულ, თავ-თავისი პროვინციებისთვის დამახასიათებელი გემრიელი კილო-კავით მოლაპარაკე ბიჭებს, რომლებიც ამ უცხო და მტრულ მხარეში განსაკუთრებით დამეგობრდნენ ერთმანეთთან, მართლა მაგრად უჭირავთ თავი! როგორც ჩანს, რაღაც კარგი თვისებები ჩვენც შეიძლება გვქონდეს, თუნდაც პიროვნული

ღირსების შეგრძნება, პირადი სიმამაცე, ერთმანეთის გატანა – ვახუშტი ბაგრატიონის ერთ-ერთ აღწერაში, სადაც ჩვენს უარყოფით თვისებებზე სრულიად დაუფარავად წერს – და ეს ცუდი თვისებები ოდნავაც არ შეგვცვლია დღემდე – ასეთ უცნაურ და საინტერესო ფრაზას ვაწყდებით – „რა ორმა, სამმა ქართველმა უცხოობაში ერთურთი ნახონ, თავსა არღარა გაუჭირვონ“-ო.



მართლაც, საქართველოს სხვადასხვა სოფლებიდან ჩამოსული ბიჭები (თბილისელები სულ ორნი შეგვხვდნენ, პლესანოველი გოგიტა თედიაშვილი, ჰელმანდში, „შუკვანის“ ბაზაზე და ლევან დგებუაძე, რომელიც ყველგან იყო), არც არავისზე ნაკლებად მოსულები და ჯანიანები არიან და თავიც ისე უჭირავთ, თითქოს მთელი ცხოვრება სპეცოპერაციებში იღებდნენ მონაწილეობას და სულ ახლახან არ

გამოეხურათ თავისი ეზოს კარი. არც ერთი წამით არ ეტყობათ, რომ ერთი პატარა და ოკუპირებული ქვეყნის შვილები არიან. ამერიკელები და ნატოს შეიარაღებული ძალების წარმომადგენლები მეგობრულად და პატივისცემით ეპყრობიან ჩვენს სამხედროებს და თუ თალიბებთან კონტაქტური საცეცხლე შეტაკების დროს ვინმეს იმედი აქვთ, მათ შორის ნამდვილად არიან ქართველი ჯარისკაცები. მერწმუნეთ, არც ამ შემთხვევაში ვაჭარბებ რამეს.

გოგა კომლაძე – კაპრალი საჩხერედან, ოთარ გაბისონია – კაპრალი ლეჩხუმიდან, გოგიტა გულუა – უფროსი ლეიტენანტი ხობიდან, თენგიზ ქუთათელაძე – ცნობილი ბესო ქუთათელაძის შვილი, რომელიც 1992 წელს, გორის სამხედრო ნაწილში შეტაკებისას დაიღუპა, ალექო ბერაია – ფოთიდან – ამ და სხვა ბიჭების შემხედვარეს, 1918-1921 წლებში ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრის, დამოუკიდებელი საქართველოს პარლამენტის წევრის, შალვა ამირეჯიბის სიტყვები გამახსენდა წერილიდან, რომელიც 1921 წლის ოკუპაციის შემდეგ პილსუდსკის პოლონეთის არმიის ჩარიცხულ ქართველ ოფიცრებს მიუძღვნა – „საბრალო ქართველობა, რომელი ქვეყნის სამხედრო მუნდირი გინდა, რომ არ ამძიმებდა მის განიერ და გამძლე ბეჭებსო.“ სხვათა შორის, იმ ოფიცრებმაც ძალიან ვაჟკაცურად და თავდადებით იბრძოლეს ვარშავის მისადგომებთან, როდესაც ჰიტლერის III რაიხის ვერმახტი, 1939 წლის სექტემბერში პოლონეთს თავს დაესხა და დიდი მსხვერპლიც გაიღეს.

„პოლკოვნიკი სულ მეჩხუბება, არ ჭამო, ბიჭო, არ გასუქდეო. ვეუბნები, არ ვარ მსუქანი ბატონო პოლკოვნიკო, ჯიში მაქვს მასეთი, დიდი ვარ, მამაჩემიც მასეთია, ბაბუაჩემიც-თქო,“ – ეს პოლკოვნიკი ალიკა კიკნაძეა, კლასიკური საველე პოლკის მეთაური, რომელსაც ძალიან უყვარს თავისი ჯარისკაცები და ამ სიყვარულის დამალვას გამუდმებული ჩხუბით და ყიჟინით ცდილობს, მაგრამ მაინც არ გამოსდის. ყოველთვის ყველაზე და ყველაფერზე გაბრაზებულია, მაგრამ მისი მრისხანება ყველანაირ ზღვარს სცილდება, თუ ფრანგების სამხედრო თვითმფრინავით უნევეს სადმე გაფრენა. როგორც ყველა პროფესიონალ სამხედროს, პოლიტიკორექტურობა სულ ფეხებზე ჰკიდია და რომ გამძვინვარდება, ისეთ გემრიელ და კარგ რამეებს ამბობს –

■ საქართველოს სხვადასხვა სოფლებიდან ჩამოსული ბიჭები, არც არავისზე ნაკლებად მოსულები და ჯანიანები არიან და თავიც ისე უჭირავთ, თითქოს მთელი ცხოვრება სპეცოპერაციებში იღებდნენ მონაწილეობას და სულ ახლახან არ გამოეხურათ თავისი ეზოს კარი. არც ერთი წამით არ ეტყობათ, რომ ერთი პატარა და ოკუპირებული ქვეყნის შვილები იყვნენ.



ხოლმე, მისი ყურება და მოსმენა ერთ რამედ ღირს.

სწორედ ფრანგულ სამხედრო სატვირთო თვითმფრინავში ვისხედით და ქაბულის სამხედრო აეროპორტიდან, ჰელმანდის ცენტრალურ გამანაწილებელ ბაზაზე – „ლეზერნიკზე“ მივფრინავდით. პოლკოვნიკი ალიკა კიკნაძე წინ იყო გადმოხრილი და გენერალ ვახტანგ კაპანაძეს ესაუბრებოდა, თან ცდილობდა ფრანგული სამხედრო თვითმფრინავის ოთხი აღრიალებული ძრავის ხმა ჩაეხშო. გენერალი გაურკვეველი ღიმილით უსმენდა, ალბათ იმიტომ, რომ ნახევარზე მეტი არ ესმოდა. თუმცა, პოლკოვნიკი იმ გრიალშიც კი ახერხებდა აღშფოთების გამოხატვას: „ჰოდა, მე ვუთხარი, ბატონო გენერალო, თალიბები სამი პიკაპით, ჩვენებმა, ერთმა მანქანამ, აუმტვერა, ხილვადობა, დედას..., დასცხეს, გამოიკიდა კაპიტანი, დაყარა, გაექცა, ჯარისკაცს სჭირდება გული და... ბატონო გენერალო.“ ბოლოს კი ეტყობა ძალიან გაბრაზდა და იმხელა იყვირა, საბოლოოდ გადაფარა

ცისკენ გრიალით აწეული თვითმფრინავის ხმა. „ვინ გკითხავთ თქვენ, მე როგორ ვარ?“ – მე ვუთხარი!“

ჰელმანდის „ლეზერნიკის“ ბაზა ამერიკელი „მერინების“ – „საზღვაო ქვეითების“ ბაზაა და ბაზის სახელწოდებაც საზღვაო ქვეითების ზედმეტი სახელიდან, „leather neck“ – „ტყავის კისრიანებისგან“ ან „სქელკისრიანებისგან“ მოდის. ეს არის თითქმის რუსთავისხელა, საგულდაგულოდ გამაგრებული და დაცული ციხე-ქალაქი და ალბათ ერთ-ერთი ყველაზე უსაფრთხო და ძლიერი ბაზა ჰელმანდის პროვინციაში. თუმცა, რამდენიმე თვის წინ, ოცამდე თალიბმა მაინც მოახერხა ბაზაზე შეღწევა და იმის მიუხედავად, რომ ოცივე განადგურეს, რამდენიმე თვითმფრინავის დანვა მაინც შესძლეს.

აი, სწორედ ამ ბაზაზე აჯილდოვებდა ქართული დელეგაცია და მისი წარმომადგენლობა „გენერალ კვინიტაძის“ მედლით ქართული არმიის სამხედრო მოსამსახურების მხარდაჭერისათვის. აღნიშნული ჯილდო



აფეთქება ქართულ ბაზა „ლაზიკის“ სიახლოვეს, ჰელმანდი, 22 მარტი 2013

მიიღო: RST – 7, მე-7 პოლკის საბრძოლო მეთაურმა პოლკოვნიკმა ოსტინ რედფორდმა, შტაბის უფროსმა ვიცე პოლკოვნიკმა ბრაიენ ნილმა, 32-ე ბატალიონის მეკავშირე ჯგუფის მეთაურმა მაიორმა რუდი სალდიდომ მე-12 ბატალიონის მეკავშირე ჯგუფის მეთაურმა, მაიორმა ენდრიუ დელგადომ. ამ ღონისძიების შემდეგ კი უკვე ვერტმფრენით ქართულ ბაზა „ლაზიკაზე“ გადავფრინდით.

„ლაზიკა“ პირველი ქართული სამხედრო ბაზა გახლდათ, რომელიც ჩვენ მოვინახულეთ, ჰელმანდის პროვინციაში. ეს „ბაზა“ სხვა ქართული, ამერიკული თუ შერეული ბაზებიდან იმითაც გამოირჩეოდა, რომ ძალიან ახლოს, თითქმის ზედ არის მიმდგარი ავღანურ სოფლებს – ყიშლალებს, რომელთა ცენტრია მუსაქალი ან მუსაყალი, ავღანური სოფლების ზუსტი დასახელების დადგენა ძალიან ძნელია, იმიტომ რომ ეს თავად ადგილობრივმა მოსახლეობამაც არ იცის და ამ დასახელებას ყველა თავისებურად გამოთქვამს. მეტიც, შუა ბაზაზე ავღანელის საფლავია,

რომელიც აქ ბაზის დაარსებამდე იყო და ჩვენებს ეს საფლავი შემოსაზღვრული აქვთ და შეძლებისდაგვარად ცდილობენ, არ შეეხონ.

ჩვენი ბაზაზე მისვლის დროს სწორედ სწავლებები მიმდინარეობდა, გამნალმვით სამუშაოებში და მ-16 სისტემის ავტომატის მიზანში სროლაში. „ლაზიკის“ ტერიტორიაზე იყო გაკრული ძებნილ თალიბან ტერორისტთა სახელები, გვარები და ფოტოები. აქედან, ჩვენმა ჯარისკაცებმა რამდენიმე მათგანის ლიკვიდირება შესძლეს ამ ცოტა ხნის წინ და სწორედ ამის შესახებ მოუთხრობდა პოლკოვნიკი კიკნაძე გენერალს. ფოტოებზე სხვადასხვა ასაკის ადამიანები იყვნენ, 12-იდან 60 წლამდე. საერთოდ, ავღანელების ასაკის დადგენა ძალიან ძნელია, რადგან ძალიან ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ თავისი დაბადების თარიღზე. ცუდ პირობებში ცხოვრება კი, ბუნებრივია, გარეგნობაზეც გარკვეულ დალს ასვამთ.

აბდულ რაჰიმ, აბდულ რაჰიმან, აბდულ გალი, აბდულ ხადირ ჰაჯი, მოჰმად იანუს

■ სწორედ „ლაზიკაზე“ გავიგე პირველი აფეთქების ხმა. ბაზიდან სამხრეთით, სადღაც 150-200 მეტრში, მწვანე ნათესებს შორის მიმავალ გზაზე იბუთქა და თეთრი კვამლიც დაეკიდა. გიორგი გოგუამ გადაღება მოასწრო.

ალა, აბდულ მალიეკ, მოჰამად ჰასან, ჯანანი, საიდ ფაისალი, მოჰამედ იესა, აბდულ ქაჰარი, აბდულ სირაჯი, ჰასან სამადი, მანან აკახალი... აი, ძებნილების არასრული სია, ესენი არიან მუსაქალის და მისი მიმდებარე ყიშლალების ყველაზე ყოჩაღი ბიჭები. ცოტა ხნის წინათ სწორედ ამათგან დაიღუპა ქართველებთან შეტაკებაში რამდენიმე მათგანი. მათ აქვთ განმასხვავებელი ნიშნებიც, რომელიც ძირითადად ტატუთი გამოიხატება, მაგალითად, ნამგალი და ურო იმ მოჯაჰედებს აქვთ ამოტვიფრული, რომლებიც ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის წითელ არმიას ებრძოდნენ. გულში გაყრილი ისარი შაჰიდის ნიშანია, ორი გადაჯვარედინებული ხმალი – შურისძიების და ა.შ. რა უცნაურია, როცა ჩვენთვის აბსოლუტურად უცხო და არაფრისმომცემია ეს გვარ-სახელები, ვერც კი აღვიქვამთ, რომ მათ უკან ჩვეულებრივი ადამიანები დგანან, თავისი ბედით, უფრო სწორად, უბედობით, და სწორედ ამ უბედობამ აქცია ისინი იმად, ვინც დღეს არიან და რითიც განსხვავდებიან ე.წ. „ჩვეულებრივი ადამიანებისგან“.

სწორედ „ლაზიკაზე“ გავიგე პირველი აფეთქების ხმა. ბაზიდან სამხრეთით, სადღაც 150-200 მეტრში, მწვანე ნათესებს შორის მიმავალ გზაზე იბუთქა და თეთრი კვამლიც დაეკიდა. გიორგი გოგუამ გადაღება მოასწრო.

ამის შემდეგ ბაზას ადგილობრივი პოლიციის უფროსი ეწვია. არსებობს ANA – „Afgan National Army“, ANP – „Afgan National Police“. პოლიციის უფროსს თარჯიმანი ახლდა თან. თარჯიმანი სამხედრო ფორმით იყო. პოლიციის უფროსი კი ცისფერი, გრძელი კაბით და წითელლაქიანი ფრჩხილებით გამოგვეცხადა და აღმოსავლურად ტრაბახს მოჰყვა: – სულ 9 კაცი მყავს. კიდევ 15 დამიმატეთ და მარტო გავენმენდ ჰელმანდს თალიბებისაგან, ამერიკელები სულ არ დამჭირდებიანო.“ ქართველებსაც გვათავისუფლებდა თუ არა თალიბებთან ბრძოლისგან, ეგ კი აღარ დაუზუსტებია. პოლიციელის მეტი რა მინახავს, მათ შორის კაიფში მყოფი პოლიციელიც, მაგრამ ცისფერკაბიანი და წითელმანიკურებიანი პოლიციელი კი პირველად ვნახე. აი, გიორგი გოგუამ კი ეგრევე თავისი ფოტოაპარატი მოიმარჯვა, თან ზუსტად ისეთი სახით, ხომ გახსოვთ „არაჩვეულებრივ გამოფენაში“ – „მე ამისგან გავაკეთებ“... და მგონი გააკეთა კიდევ.

ამის შემდეგ ჰელმანდის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ ბაზა „შუკვანზე“ გავფრინდით. უკვე ბინდებოდა. ბიჭებს იქ სახელდახელოდ სამლოცველო ეკლესიაც აეგოთ და თავისი მოძღვარიც ჰყავდათ. ქართულ-ამერიკულ საერთო სასადილოს კი „ხეჩოს დუქანი“ დაარქვეს, შესაბამისი დიდი ტრაფარეტით, ქართული წარწერით, ყანწებით და ამბებით. ამ ბაზაზე ვიპოვე ჩემი თანამემამულე-საგარეჯოელი ვალერა რევაზიშვილი, რომელიც ჩვენს უბანში ცხოვრობს და ჩემი ბიძაშვილის კლასელია. გოგიტა თედიაშვილმა მაპოვნინა, რომელიც ჩემსავით წარმოშობით საგარეჯოელი და მეორე თბილისელია იმ თბილისელთა შორის, რომელიც ავღანეთში ვნახე. მეტი არ შემხვედრია. დანარჩენი ბიჭები ძირითადად საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან იყვნენ. თერჯოელები, თელაველები და ა.შ.

ბიჭებმა ადრიდანვე დაიწყეს თადარიგის დაჭერა, რომ საღამოს ფეხბურთისთვის ეყურებინათ, იყო ერთი კაბელების გადატან-გადმოტანა. კარავში ვიყავით, როცა სამხრეთიდან ორი ცალი გავარდა. ავტომატის ხმა იყო, ჯერ თითო-თითო ისროლეს. თერჯოელმა ბუცხრიკიძემ ყურები ცქციტა და გარეთ გამოვარდა. მოკლე ჯერმაც გადაიარა და ცოტა ხანში, მანათობელი ტყვიების ჯერი ე.წ. ტრანსირებიც მოაყოლეს. სამხრეთიდან მოდიოდა სროლის ხმა, უფრო სწორად, სამხრეთ-აღმოსავლეთიდან და ჩვენებმაც გადაიგრიალეს ყიჟინით და იარაღის ჩხრიალით.

გენერალი კაპანაძე და პოლკოვნიკი კიკნაძეც მოვიდნენ. „ა, ბატონო გენერალო, ასეა აქ ყოველდღამე,“ – გაისმა პოლკოვნიკის მოულოდნელად მშვიდი და არხინი ხმა. ცოტა ხანში, სროლის ხმაც ჩანყნარდა, მაგრამ დაძაბული მოლოდინი კიდევ გაგრძელდა. თუმცა საფეხბურთო სამზადისი არ შეწყვეტილა. ავღანეთის დროით პირველის ნახევარზე დავსხედით ფეხბურთის საყურებლად. გული მომიკვდა იმის ნახვით, სადღაც პაკისტანის საზღვართან, რომელიც რეალურად არც არსებობს, სადღაც პუშტუნისტანის სამხრეთით, ქართველი ბიჭები, რომლებიც ორი საათის წინ უკუნ ავღანურ ლამეში ტყვიას და სიკვდილს დასდევდნენ ყიჟინით, როგორ საცოდავად ეხვეწებოდნენ ჩვენს ფეხბურთელებს გატოკებულიყვნენ და რამე გაეკეთებინათ, როგორ გაჰკიდნენ სიხარულით თუ მოეჩვენებოდათ, რომ რალაცას ფართხალებდნენ, როგორ მწარდებოდნენ ჩვენი ფეხბურ-

■ პოლკოვნიკი ალიკა კიკნაძე წინ იყო გადმოხრილი და გენერალ ვახტანგ კაპანაძეს ესაუბრებოდა, თან ცდილობდა ფრანგული სამხედრო თვითმფრინავის ოთხი აღრიალეული ძრავის ხმა ჩაეხმო. გენერალი გაურკვეველი ღიმილით უსმენდა, ალბათ იმიტომ, რომ ნახევარზე მეტი არ ესმოდა. თუმცა პოლკოვნიკი იმ გრიალშიც კი ახერხებდა აღფრთოვანების გამოსატყვას: „ჰოდა, მე ვუთხარი, ბატონო გენერალო, თალიბები სამი პიკაპით, ჩვენებმა, ერთმა მანქანამ, აუმიტვერა, ხილავდობა, დედას... დასცხეს, გამოეკიდა კაპიტანი, დაყარა, გაექცა, ჯარისკაცს სჭირდება გული და... ბატონო გენერალო.“

ԿԱՇԿԱԿՆԵՐ



ՄԱՅՈՒՆ ԵՐԿՐԵՐ ԼՈՐԵՐԵ ԵՇԵՄԲ
ՖԱՆԻԿԼ 22:00 ԼՆՏՈՐԵՆ





ქართული სამხედრო ბაზა „შუკვანი“, ჰელმანდი, 22 მარტი 2013

თელევის საცოდაობის ყურებაზე, როდესაც ბურთს იღებდნენ და ისე პანიკდებოდნენ, თითქოს ფეხებთან ბურთი კი არა გახსნილი „ლიმონკა“ დაუგდესო და მივხვდი ერთ რამეს – 33 წელია ფეხბურთს ვუყურებ და სტადიონზე დავდივარ, ანუ ხუთი წლიდან. უკანასკნელ წლებში მხოლოდ გიჟებიღა შემოვრჩით, ვინც საქართველოს ნაკრებს კიდევ ვუყურე-

ბთ და ნერვებს ვითხრით. ეს გუნდი, თავისი ფედერაციის პრეზიდენტიან, მწვრთნელიან, ფეხბურთელებიანად ნერვებს გვათხრის თბილისში, ნერვებს გვათხრიდა ევროპაში, მაგრამ მე, როგორც ერთი გულშემატკივარი, არასოდეს გაპატიებთ ამ ღამეს პაკისტანის საზღვართან, იმ ბიჭების გულის ჩანყვეტას, ვინც 24 საათი სიკვდილს უყურებს, ნაღმზე



23 მარტი

გვიან ღამით განვიმდა. დილას „შუკვანიდან“ „ერედვზე“ უნდა გადმოვფრენილიყავით. ეს ორი ბაზა საკმაოდ ახლოს არის ერთმანეთთან, მაგრამ მანქანებით გადაადგილება მაინც სარისკოა, მით უმეტეს, ოფიციალური დელეგაციისთვის. „შუკვანზე“ თამარ კეკენაძეს თავისი ახალი მეგობარი სოფო სოფრომაძე აცილებდა. 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპული შმაგი სოფრომაძის და, ძალიან საყვარელი და სიმპათიური გოგონა, რომელიც შემოგვჩიოდა, ბიჭები ძალიან მიფრთხილდებიან, მიუხედავად იმისა, რომ კაპრალი ვარ, მაინც არსად არ დავყავარ და სულ ამაზე მაქვს ჩხუბიო.

„ერედვზე“, რომელიც ყველაზე სარისკო და ექსტრემალურ ბაზად მიიჩნევა ჰელმანდის პროვინციაში, გენერალ კაპანაძეს არსებული მდგომარეობა გააცნეს და მოახსენეს, რომ ექვსი თვის განმავლობაში 131-ჯერ იყო პირდაპირი ცეცხლის შემთხვევა, 18-ჯერ – არაპირდაპირი, 11-ჯერ გააუვნებელჰყვეს ე.წ. „აიდი“, ამოღებულია იარაღი, აყვანილია და ა.შ.

■ „სროლის პრობლემა არა გვაქვს, ისროლონ, რამდენიც უნდათ, სხვა რამე უფრო გვიჭირს – პური, რასაც ამერიკელები ჭამენ, ჩვენც ზუსტად იმას ვჭამთ, მაგრამ ამერიკელებს პურის მოთხოვნილება არა აქვთ, ჩვენ კი მაგრად შეგვანუხა ამ უპურობამ, 7 თვეში სულ რამდენჯერმე მოახერხეს პურის შემოტანა.

ზის და მაგათ ხმას: – „მიდი ბიჯოო, მიდი ძმურად რაა“. უნდა მოგკიდოთ კაცმა ხელი ფედერაციის პრეზიდენტიან, მწვრთნელიან, ფეხბურთელებიანად და ჭიტლაყით გაგიშვათ აქედან, მაგრამ მაგის ღირსებიც არა ხართ. იყავით და იჯახირეთ ეგრე გაბითურებულეზმა და გაფარჩაკებულეზმა, ვიდრე არ მოგბეზრდებათ...



ქართული სამხედრო ბაზა „ერედვი“, ჰელმანდი, 23 მარტი 2013

■ „ერედვი“, რომელიც ყველაზე სარისკო და ექსტრემალურ ბაზად მიიჩნევა ჰელმანდის პროვინციაში, გენერალ კაპანაძეს არსებული მდგომარეობა გააცნეს და მოახსენეს, რომ ექვსი თვის განმავლობაში 131-ჯერ იყო პირდაპირი ცეცხლის შემთხვევა, 18-ჯერ – არაპირდაპირი, 11-ჯერ გააუვნებელპყვეს ე.წ. „აიდი“, ამოღებულია იარაღი, აყვანილია და ა.შ.

ამ სამხედრო ტერმინებს იქით კი არის ჰელმანდის უდაბნოში ჩაკარგული ქართული ბაზა სახელად „ერედვი“, სადაც ქართველი, ამერიკელი და რამდენიმე ავღანელი მსახურობს. ბაზა, რომელიც მზიანი ამინდის შემთხვევაში კოჭებამდე ქვიშაში იმალება, წვიმის დროს ასევე კოჭებამდე ტალახდება, ხოლო ზამთარში ტემპერატურა 10 გრადუსამდე ეცემა და სადაც ყველაზე ხშირია შეიარაღებული შეტაკებები.

უცნაურია, რომ ისტორიული ქართული სოფელი ერედვი, რომელიც ცხინვალს ესაზღვრებოდა და დღეს აღარ არსებობს, პატარა ლიხვის ხეობაში ერთ-ერთ ყველაზე მებრძოლ და მაგარ სოფლად ითვლებოდა, სწორედ ამიტომაც გაასწორეს რუსებმა და ოსებმა აგვისტოს ომში მინასთან. მაგრამ ეტყობა სახელს მაინც თავისი ბედისწერა აქვს და „ერედვი“ აქ, ავღანეთში, ჰელმანდშიც ყველაზე შარიანი ადგილია. პირდაპირი ცეცხლის 131 შემთხვევა ნიშნავს, რომ ამ 6 თვის განმავლობაში ბაზა 131-ჯერ დაიცხრი-

ლა, ავტომატებით და ე.წ. PK-ს სისტემის ტყვიამფრქვევით. (Пулемёт калашникова). არაპირდაპირი ცეცხლის 18 შემთხვევა კი ნიშნავს, რომ ბაზა 18-ჯერ დაიბომბა, 60 მილიმეტრიანი და 82-მილიმეტრიანი ნალმსატყორცნებით, ძირითადად, ჩინური და ირანული წარმოების რაკეტებს ისვრიან, 11-ჯერ „აიდი“-ს გაუვნებელყოფა კი ნიშნავს რომ განაღმეს 11 დანაღმული ადგილი. ავღანელი თალიბები ნაღმავენ ყველაფერს, დაწყებული მანქანით და რაციით, დამთავრებული მკვდარი ინდაურით და წერაქვის ტარით. მკვდარ ინდაურს გადაუარა ამერიკელი პატრულის მანქანამ და აფეთქდა. გზაზე ეგდო წერაქვი, რომლის ტარიც დანაღმული იყო. ამან ბაზაზე ახალი სახუმარო თემაც წარმოშვა – წერაქვს, თოხს და ბარს გამოვექეცით სახლიდან ავღანეთში და მაგას აქ ვინ მიეკარებოდაო, მაგრამ ფაქტია, რომ ეს კუსტარულად დამზადებული ნაღმები ე.წ. „აიდი“ არც ისე სახუმაროა, ხოლო მისი დამზადება ძალიან ადვილია და მრავალნაირად



შეიძლება, თუმცა, ბუნებრივია, მათი დამზადების რეცეპტებს აქ აღარ აღვწერ.

კოკისპირული წვიმა გრძელდებოდა. ჩვენც ტალახს ვზელდით, შორიასლოს ატეხილი სროლის ხმას ვუსმენდით და გამოდარებას ველოდებოდით, რომ „შირგაზისაკენ“ გაფვრენილიყავით. ბიჭები, როგორც ყოველთვის, ხუმრობის გუნებაზე იყვნენ და საქართველოს ამბებს კითხულობდნენ. მარტო ამ ბაზაზე სამი ტყიბულელი მსახურობდა, დესანტი გვაქვს გადმოსხმული – შაყირობდნენ. „ყველაზე“ რთული და სახიფათო ბაზა ჩვენია, მაგრამ მაგრად ვართო, ამბობდნენ. მართლაც, ყველაზე მაგარი და თავზეხელაღებული ბიჭები აქ იყვნენ. „სროლის პრობლემა არა გვაქვს, ისროლონ, რამდენიც უნდათ, სხვა რამე უფრო გვიჭირს – პური, რასაც ამერიკელები ჭამენ, ჩვენც ზუსტად იმას ვჭამთ, მაგრამ ამერიკელებს პურის მოთხოვნილება არა აქვთ, ჩვენ კი მაგრად შეგვანუხა ამ უპურობამ, 7 თვეში სულ რამდენჯერმე მოახერხეს პურის შემოტანა. მეორე, ზამთარში მაგრად




თავდაცვის სამინისტროს გაერთიანებული შტაბის უფროსის მოადგილე ბრიგადის გენერალი ვახტანგ კაპანაძე, ქართული სამხედრო ბაზა „ერედვი“, ჰელმანდი, 23 მარტი 2013

გავიყინეთ, სერიოზულად იყო გათბობის პრობლემა და მესამე, კომუნიკაცია, ინტერნეტი არ გვაქვს და სახლთან დაკავშირება ძალიან გვიჭირს.“ როდესაც თავდაცვის სამი-

ნისტროს პრესცენტრის შეფს ვაკო ავალიანს ამაზე ველაპარაკე მითხრა, რომ ინტერნეტის პრობლემა ფაქტობრივად გადაჭრილია და ეს საკითხი მოგვარებულია. ვაკო ავალიანს კომუნიკაციის გარდა სამხედროებმა სოციალურ და სამედიცინო დაზღვევის საკითხზეც მიმართეს და მიიღეს პირობა, რომ ყველაფერს გააკეთებდა, რაც შესაძლებელი იქნებოდა და ცოტა შეუძლებელსაც... ყველაზე კარგი, რაც მოხდა ის იყო, რომ ჩვენი გამნალმველის შვილს, რომელიც ცერებრალური დამბლით არის დაავადებული, ჩაუტარდება სათანადო მკურნალობა და არის შანსი, რომ ბავშვმა გაიაროს. ვაკო ავალიანი პატარა ბავშვივით იყო გახარებული. მართლაც, წარმოიდგინეთ ადამიანი, რომელიც ყოველდღე სადღაც ავლანეთში დანაღმულ მინდორს ნაღმავს, შინ, საქართველოში კი, ბავშვი ელოდება ცერებრალური დამბლით. მგონი ამ ბავშვის მკურნალობაზე კარგი ამბავი არც არაფერი მომხდარა!

წვიმდა და წვიმდა. ჰაერში ანეული ბუშტი, როგორც ჩვენ ვეძახდით, ან ბალონი, როგორც ამერიკელები უწოდებდნენ და რომელიც 25 კილომეტრის რადიუსით ყველაფერს აკონტროლებს, დაბლა დაწიეს, რომ ქარს არ წაეღო. ერთხელ ქარმა ასე წაიღო ამერიკელების ბალონი და მერე პატრულირებისას ბავშვები დახვდნენ ჩვენებს და ეძახდნენ: – „გურჯის ბუშტი უუუ!“ ბუშტი როგორ გაგიფრინდათ, თქვე არიფებო!

გენერალი ვახტანგ კაპანაძე ყურადღებით აკვირდებოდა ეკრანს. ეკრანზე ნათლად გამოჩნდა წითელი პიკაპი, პიკაპი შეჩერდა და შიგ ხალხი ჩაჯდა. „ამოძრავდნენ“, – თქვა გენერალმა. „აქ ყოველთვის ეგრეა, ბატონო გენერალო, თითქმის ყოველდღე სროლაა“, „თან ამინდიც აირია“, პოლკოვნიკი კიკნაძე, როგორც ყოველთვის, კოჭებამდე ტალახში იდგა, აწვიმდა, მშვენიერ ხასიათზე გახლდათ და თან ჯარისკაცებს უბრაზდებოდა. გვერდზე ედგა პოლკოვნიკი კობა ახვლედიანი გალის რაიონის სოფელ წარჩედან. დიდი, დინჯი და მოხეული, მეგრელის არაფერი ეტყობოდა, ტიპური ლეჩხუმელი იყო, თუმცა თვითონ მეგრელობდა. „ეს ყველაზე მაგარი კაცია, მაგრად გვიყვარს“, – მითხრეს ჯარისკაცებმა ისე, რომ მე არაფერი მიკითხავს და ვერც ვკითხავდი, თუნდაც იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ აქ მოსვლამდე წარმოდგენა არ მქონდა, ვინ იყო კობა ახვლედიანი.



სხვათა შორის, გენერალი ვახტანგ კაპანაძე, პოლკოვნიკი ალიკა კიკნაძე, პოლკოვნიკი კობა ახვლედიანი, პოლკოვნიკი გიორგი კვირიკაშვილი და პოლკოვნიკი გიორგი სურმავა – ყველანი აფხაზეთის ომის ვეტერანები არიან, პოლკოვნიკები კიკნაძე და ახვლედიანი კი საერთოდ აფხაზეთიდან არიან. კიკნაძე სოხუმელია, ახვლედიანი გალელი.

■ წვიმდა და წვიმდა. ჰაერში ანეული ბუშტი, როგორც ჩვენ ვეძახდით, ან ბალონი, როგორც ამერიკელები უწოდებდნენ და რომელიც 25-კილომეტრის რადიუსით ყველაფერს აკონტროლებს, დაბლა დაწიეს, რომ ქარს არ წაეღო. ერთხელ ქარმა ასე წაიღო ამერიკელების ბალონი და მერე პატრულირებისას ბავშვები დახვდნენ ჩვენებს და ეძახდნენ: – „გურჯის ბუშტი უუუ!“ ბუშტი როგორ გაგიფრინდათ, თქვე არიფებო!



ამინდი სულ უფრო და უფრო ირეოდა. გენერალი და პოლკოვნიკები მსჯელობდნენ, რა გზას დასდგომოდნენ, თუ ამინდი კიდევ უფრო გაფუჭდებოდა და ფრენა შეუძლებელი გახდებოდა. აქვე დაეტოვებინათ ოფიციალური დელეგაცია თუ ჯავშანმაქანებით, შედარებით უსაფრთხო ბაზაზე გადაეყვანათ. საფრთხე ორივე შემთხვევაში არსებობდა – თუ ბაზაზე

დავრჩებოდით, აუცილებლად დაგვესხმოდნენ თავს, რადგან საქართველოს ოფიციალური დელეგაცია, რომელშიც ერთი სახელმწიფოს მინისტრი და თავდაცვის მინისტრის მოადგილეც შედიოდა, თალიბებისთვის ნამდვილად ძვირფასი ნადავლი იქნებოდა. ძალიან დიდი რისკი იყო ჯავშნიანი მანქანებით გადაყვანაც, მით უმეტეს, „შირგაზის“ გზაზე. და დაგვეცხეს.

ჯერ სამხრეთიდან დაგვყარეს, მერე ჩრდილოეთიდანაც, ძირითადად კალაშნიკოვის ტყვიამფრქვევიდან ე.წ. PK -დან გვესროდნენ. სამხრეთიდან თითქმის 600 მეტრზე მოინიეს, ჩრდილოეთიდან 700 მეტრზე და მოგვიშვეს და მოგვიშვეს. ჩვენს ნასაყვანად წამოსული ვერტმფრენები უკან გაბრუნდნენ. „მოგიწვეთ ამაღამ აქ დარჩენა“, – გვითხრეს ჯარისკაცებმა. გენერალი და პოლკოვნიკები დარჩენის ვარიანტსაც განიხილავდნენ და ჯავშანტექნიკით გადაადგილებასაც და ორივე შემთხვევის რისკის ფაქტორებს ადარებდნენ.

„აქ თუ ვინმე მოფრინდა, ესე იგი, ბრიტანელები არიან, „SAS“-ი, ეგენი ძალიან მაგრები ჰყავთ. ნახავ, „ლეზერნიკზე“ წვერმოშვებულები დადიან, აჩაჩულ-დაჩაჩულები, მაგრად უბერავენ, ჩვენზე უარესად – ლიმილით ყვებოდნენ ჩვენები, თან ტალახს ვზელდით და სროლის მიხედვით ვცდილობდით ამოგვეცნო ჩრდილოეთიდან უფრო მაგრად გვითევდნენ თუ სამხრეთიდან.“

„დედა აიტირეს რა, ამ დილაადრიანად“, – არხეინად გამოაცხადა ჩრდილოეთის პოსტიდან ჩამოსულმა, წვიმიტ გალუმპულმა ქართველმა სამხედრომ და შეეცადა ზედ მიერული უნიფორმა გაეხადა. „რითი გვესვრიან?“ „ყველაფრით, რაცა აქეთ, გაახურეს რა დილიდან.“

ჯავშანტექნიკით გადაადგილებაზე ამერიკელებმა უარი თქვეს. ლამით დარჩენაც კი ძალიან სარისკო იყო, მით უმეტეს, რომ უამინდობის გამო ავიაციასაც ვერ გამოვიცახებდით. ძირითადი რისკფაქტორი სამთავრობო დელეგაცია იყო, თორემ ჯარისკაცები რა, მაინც ყოველდღე ამ დღეში იყვნენ. მოკლედ, იმ ორი-სამი საათის განმავლობაში, რაც „ერედვეზე“ დავყავით, გეგმები რამდენჯერმე შეიცვალა, გაფრენა ვერ ხერხდებოდა. „შირგაზი“ თუ „ლეზერნიკი“, ბაზაზე დარჩენა თუ ჯავშანტექნიკით გადაადგილება, ყველა ამ ვარიანტს თავისი რისკები, დადებითი და უარყოფითი მხარეები ახლდა და, რა თქმა უნდა, უსაფრთხო არც ერთი არ იყო. კიდევ კარგი, აღმოსავლეთიდან ურმუსის ბაზრის მხრიდანაც არ შემოგვიტიეს, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება, თალიბები მაიცდამაინც ჩრდილოეთ და სამხრეთის მიმართულებას მიანვენენ და ნელ-ნელა იქაც ჩააჩუმეს ჩვენებმა.

მოულოდნელად ვერტმფრენების გუგუნის ხმა გაისმა და ორი ვერტმფრენი დაჯდა. მეორე

დაზღვევაზე მოჰყვებოდა ვერტმფრენებში ჩავსხედით და ისევ „ლეზერნიკის“ ცენტრალურ ბაზაზე დავბრუნდით. „შირგაზისკენ“ აღარ გავვიშვეს, რადგან თუკი ამინდი კიდევ უფრო გაუარესდებოდა, დელეგაციის საქმიანი ვიზიტი ავლანეთში შეიძლება კიდევ დიდხანს გაგრძელდებოდა.

„ლეზერნიკის“ ბაზაზე თავიდან ფეხებამდე ტალახში ამოვლებულები დავბრუნდით და როგორც კი ამის საშუალება მოგვეცა, შხაპში შევევარდით, ჰელმანდის განებილი ნითელი ტალახი ჩამოვიბანეთ და ვახშმის მერე მკვდრებივით ჩაგვეძინა.

24 მარტი

დღეს 2 საათზე ქაბულში უნდა გავფრენილიყავით, მაგრამ ფრენა 5 საათამდე გადაიდო, რაც სიმართლე რომ გითხრათ, მხოლოდ გაგვიხარდა. ჯარისკაცებთან და სამხედროებთან ყოფნა არასოდეს არ მბეზრდება, პოლიტიკოსებისაგან განსხვავებით. პოლიტიკოსები კი უცებ მბეზრდებიან.

ძალიან მაზალო ხალხია. რომ ვუსმენ და ვუყურებ, სულ ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, სადღაც ამზადებენ, მერე გამოუშვებენ და როცა აღარ სჭირდებათ, უკან მიაქვთ ან შეიძლება „სვალკაზეც“ უკრან თავი. როგორ ახერხებენ, რომ სულ ასე ერთნაირები იყვნენ და კომუნისტებიდან მოყოლებული დღემდე, არც ინტონაცია, არც ტონი, არც საზოგადოებისათვის მიმართვის სტილი არ შეეცვალათ, პირდაპირ განსაცვიფრებელია. დგომის მანერაც კი ერთნაირი აქვთ, რაღაცნაირად ძალად შემართული. კარგი! მაგათაც რა ქნან, ეგეთები არიან, ეგეთები დაამზადეს და რა მაგათი ბრაღია?

ქაბულში გაფრენამდე, ანუ 5 საათამდე, ბევრი დრო გვექონდა, ამიტომ მე და გიორგიმ გადავწყვიტეთ, ავლანური ბაზარი მოგვენახულებინა, საჩუქრების ყიდვა გვინდოდა. გიორგი განსაკუთრებით მაშო სამადაშვილის საჩუქარზე ზრუნავდა, ჩემზე ნაწყენია, გაიბუტა და იქნებ როგორმე შემოვირიგო.

ავლანელები დიდი ოხრები არიან, სულ ფხიზლად უნდა იყო, თორემ დიდი სიამოვნებით მოგატყუებენ და გაგაბითურებენ. ქართველების გადამკიდევ თითქმის ყველა მათგანი ამტვრევს ცოტ-ცოტა ქართულს. როგორც კი იგებენ, რომ ქართველი ხარ, ან ზოგი თვითონვე გვცნობს იერით და არის მერე ერთი: – „ე ბიჭო, ბიჭო... არა... ხო...! გამარჯობა,

■ „აქ თუ ვინმე მოფრინდა, ესე იგი, ბრიტანელები არიან, „SAS“-ი, ეგენი ძალიან მაგრები ჰყავთ. ნახავ, „ლეზერნიკზე“ წვერმოშვებულები დადიან, აჩაჩულ-დაჩაჩულები, მაგრად უბერავენ, ჩვენზე უარესად – ლიმილით ყვებოდნენ ჩვენები, თან ტალახს ვზელდით და სროლის მიხედვით ვცდილობდით ამოგვეცნო ჩრდილოეთიდან უფრო მაგრად გვითევდნენ თუ სამხრეთიდან.“



■ ქართველი სამხედროების შემხედვარე, გენერლითა და პოლკოვნიკებით დაწყებული კაპრალითა და ჯარისკაცებით დამთავრებული, ხვდები, რომ შეიძლება, არც ისე ცუდი და ბოლომოდებული ხალხი ვართ და იქნება მაინც გამოვიდეს ჩვენგან რამე... საქართველო და ქართველობა, მაინც ესენი არიან, ქართული არმიის ავლანური კონტიგენტის ბიჭები, ასეთი სხვადასხვანაირი აქცენტითა და კილო-კავით მოლაპარაკებით და არა ისინი, ვისაც სრულიად ტყუილად და უსფუძვლოდ ჰგონია, რომ ვინმეზე უკეთესი, ლამაზი, ჭკვიანი და მნიშვნელოვანია.

ჯიგარი ხარ, როგორ ხარ?“ ერთმა ისიც კი გვკითხა, „შინ როგორ ხართ? გიორგიმ იხუმრა, ამერიკელი ვარო, ავლანელმა ეჭვით შეხედა, მერე მე მომიბრუნდა – შენო? – მე არა, მე ქართველი ვარ – მან გურჯ, ეს არის ამერიკელი შურავი“, – ხელი ავუქნიე გაამერიკელებულ გიორგის.

მერე რაღაც-რაღაცები ვიყიდეთ. გიორგიმაც დიდხანს ვერ გაქაჩა ამერიკელობა და ავლანელს თავისი მეგრელობა გაუმხილა. ავლანელი გამყიდველი გაიბადრა – „ჰოდა, რას მომატყუე, რომ მცოდნოდა, რომ ქართველი ხარ, ორჯერ იაფად მოგიყიდდიო.“ ჩვენ კი არა, ამერიკელ ჯარისკაცებსაც კი „ბიჭო, ბიჭოს ეძახიან.“

„ერედვის“ ბაზაზე ყოფნის დროს კი ერთი ამერიკელი სამხედრო გავიცანი, გვარად ფინჩი! ის სულ გადაურევიათ ქართველებს, ქართული ხომ ასწავლეს, ახლა მეგრელები მეგრულს ასწავლიან და როცა მეგრულ ჯარისკაცებს ელაპარაკება, იძახის „ფინჩია ვარო“. აი, ასეთი ამბებია ავლანეთში, ჩემო ბატონო.

რა თქმა უნდა, ჯარში სულაც არ არის ყველაფერი კარგად და მეტიც, ძალიან შორს არის იდეალურისაგან და ეს ბუნებრივია. მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რა შემკვიდრეობა დაგვრჩა წინა ხელისუფლებისაგან.

„ყველაზე გახურებული სროლის დროსაც კი გამუდმებით მანუხებდა ერთი კითხვა, რატომ წერენ და ბეჭდავენ იმას, რაც სულაც არ არის მნიშვნელოვანი და პირიქით, არასოდეს არ წერენ იმაზე, რაც ყველაზე მთავარია და მნიშვნელოვანი?“ – კითხულობდა ცნობილი მემარცხენე, რეპორტიორი, სამხედრო კორესპონდენტი და ჯარისკაცი, ჩემი ეგონ ერვინ კიში.

რა თქმა უნდა, ერთი კვირა ძალიან ცოტაა იმისთვის, რომ სიტუაციაში გაერკვე, მით უმეტეს, ძალიან ცოტაა ეს ავლანეთში, მით უფრო, თუ ამ ერთი კვირის განმავლობაშიც დროის თითქმის ნახევარს ცაში ატარებ. მართალი იყო პოლკოვნიკი ნიკა ჯანჯალავა, რომელმაც ავლანეთში წასვლამდე მითხრა, რომ ავლანეთში მარტო ერთ ჩასვლას არანაირი აზრი არა აქვს, იქ რამდენჯერმე უნდა ჩახვიდეო. თუმცა, სიმართლე ვთქვა, იქ რომ ჩვენი სამხედროები არ იყვნენ, ავლანეთში ჩასვლა არასოდეს მომინდებოდა. არა იმიტომ, რომ ასეთი ევროპელი ბიჭი ვარ და რადიარდ კიპლინგისა არ იყოს, „აღმოსავლეთი აღმოსავ-

ლეთია, დასავლეთი კი დასავლეთი და მათი შერწყმა და გაერთიანება ყოვლად შეუძლებელია.“ ავლანეთი არც აღმოსავლეთია, არც დასავლეთი, ავლანეთი ავლანეთია.

„ლეზერნიკის“ ბაზაზე დავბრუნდით და ხუთი საათისათვის კვლავ ფრანგულ სამხედრო-სატვირთო თვითმფრინავში ჩავსხედით და ქაბულისაკენ გაფრინდით. ჩვენ წინ ფრანგი ჯარისკაცები იხდნენ. ერთ მათგანს A.SALLA ეწერა და ძალიან დაღონებული და ცხვირჩამოშვებული იჯდა, ხელში ტელეფონი ეჭირა და ვილაცას მესიჯებს წერდა. აშკარად შეყვარებული იყო. მე და გიორგიმ ვიმარჩიელეთ, რას წერდა. მე ვამბობდი რას წერს და „mon amuur, sofiu.“ გიორგიმ კიდე უფრო გაართულა – ეგ ისეთი დაღონებულია, მაგისმა სოფიიმ აშკარად სხვა ბიჭი გაიჩინა ვიდრე ეს ჩვენი A.SALLA ავლანეთის ქვიშაში, ფრანგული იარაღის სახელისა და დიდებისათვის იბრძვისო.

ქაბულში ღამიანად ჩავფრინდით. ვივახშმეთ და მერე ჩვენს ქართულ შტაბში კომპიუტერს მივუჯექით, რომ ჩვენებს ფეისბუქით მაინც დაეკავშირებოდა, რადგან ჩვენმა ტელეფონმა ავლანეთში ჩამოსვლის მეორე დღესვე სული განუტევა.

25 მარტი

დღეს სახლში ვბრუნდებით. მაინც კარგია, რომ სახლი და სამშობლო გაქვს კაცს, როგორც არ უნდა იყოს ეს სამშობლო. მით უმეტეს, – ავლანეთის შემდეგ. აქ უფრო კარგად იგებ საქართველოს ფასს. ისევე როგორც ქართველი სამხედროების შემხედვარე, გენერლითა და პოლკოვნიკებით დაწყებული კაპრალითა და ჯარისკაცებით დამთავრებული, ხვდები, რომ შეიძლება, არც ისე ცუდი და ბოლომოდებული ხალხი ვართ და იქნება მაინც გამოვიდეს ჩვენგან რამე... საქართველო და ქართველობა, მაინც ესენი არიან, ქართული არმიის ავლანური კონტიგენტის ბიჭები, ასეთი სხვადასხვანაირი აქცენტითა და კილო-კავით მოლაპარაკებით და არა ისინი, ვისაც სრულიად ტყუილად და უსფუძვლოდ ჰგონია, რომ ვინმეზე უკეთესი, ლამაზი, ჭკვიანი და მნიშვნელოვანია. ამ ბიჭებთან გამომშვიდობებისას, როდესაც თავისი ახლობლების ტელეფონები ჩამანერინეს, ძალიან ცუდად და უხერხულად ვიგრძენი თავი. ჩამოხვედი და ატეხილია ერთი ამბავი აქ თუ სახლში – „აუ, რა მაგა-

რია ავლანეთში ნავიდნენ“, – აქ კი ეს ბიჭები ექვსი თვე და მეტი მსახურობენ, ყოველდღე სიკვდილს ჩაჰყურებენ თვალბში და ვითომ არაფერი, ვითომ ასეც უნდა იყოს – სრული სიჩუმე! ეს უსამართლობაც აღარ არის, გაცილებით უფრო უარესია. მართლა ძალიან ცუდად ვიგრძენი თავი. აფხაზეთის ომის დროს ასეთებს გასტროლოიორებს ეძახდნენ. მურტალი შეგრძნებაა. განსაკუთრებით გულიანად პოლკოვნიკ კობა ახვლედიანს და ჩვენი მანქანის ეკიპაჟის წევრებს, ოთარ გაბისონიას, გოგა კომლაძეს, გოგიტა გულუას და ალექო ბერაიას გამოვემშვიდობეთ.

ქაბულის აეროპორტიდან აფრენილი თვითმფრინავის ლუქიდან კიდევ ერთხელ შევავლეთ თვალი ავლანეთის წითელ და ყავისფერ ხეობებს და დათოვლილ მთებს და სტამბულისკენ ავიღეთ გეზი.

სტამბულში საღამოს ჩამოვფრინდით. დრო საკმაო გვექონდა. ჩვენი დელეგაციის უმეტესი ნაწილი, დიდ გრანდიოზულ მაღაზია „მოლში“ ნავიდა, მე და გიორგი კი იქვე პატარა თურ-

ქულ დუქანში შევძვერით, სადაც კაციშვილმა ერთი ღერი ინგლიურიც არ იცოდა, მაგრამ თბილისში და გომბორში ნასწავლი აზერბაიჯანული სიტყვებითა და ხელების დახმარებით მშვენივრად გავაგებინეთ ერთმანეთს. ნამდვილი თურქული უგემრიელესი ცხვრის ქაბაბიც გეახელით.

თბილისში ღამის, უფრო სწორად დღის ოთხ საათზე დავეშვიეთ. მარტო ამისთვის ღირს წასვლაც, რისკიც და ხიფათიც. დასაბრუნებლად, რომ დაბრუნდე!

და კიდევ, რას ვფიქრობდი ავლანეთში მყოფ ქართველ ბიჭებს რომ ვიხსენებ და ამ ჩვენი ქვეყნის ასაშენებლად სინამდვილეში ხომ არც ისე ბევრი გვეჭირდება – ძალიან ბევრი შრომა, ცოტა იღბალი და, ბოლოს და ბოლოს, ის ადამიანები ხელისუფლებაში, რომლებიც მართლა თავისი საქმის პროფესიონალები იქნებიან და მართლა გული შესტკივათ და ეყვარებათ თავისი ქვეყანა.

ძალიან ძნელია?!
ძალიან ძნელია! 

Radio Commersant

marketing@commersant.ge
+995 32 2505 955



ბიზნესის პერსონალური რადიო

Commersant.ge

ქახთუდი მისია ავლანეთში

სოფო აფციაური

2001 წლის 20 დეკემბერს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა NATO-თან ერთად ავლანეთში ფართომასშტაბიანი ანტიტერორისტული ოპერაცია დაიწყო.

საქართველოს სამხედრო ქვედანაყოფი ავლანეთში მიმდინარე უსაფრთხოების მხარდაჭერ საერთაშორისო ოპერაციაში 2009 წლის ნოემბრიდან მონაწილეობს.

საქართველოს მთავრობა ყოველწერზე, ჰელმანდის პროვინციაში 755-ს, ქაბულის მისიაში კი – 50 სამშვიდობოს აგზავნის.

2012 წლის სექტემბრიდან, საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილებით, საქართველოს წვლილი გაორმაგდა და ავლანეთში ჰელმანდის პროვინციაში უკვე 1600-მდე ქართველი სამხედრო მოსამსახურე იმყოფება.

ჰელმანდის პროვინციაში შეიარაღებული ძალების მე-3 და მე-4 ქვეითი ბრიგადების ჯარისკაცები 2013 წლის 22 მარტს გაემგზავრნენ. სამხედროები გერმანიის ქალაქ ჰოჰენფელსში იმყოფებოდნენ, სადაც სამხედრო წვრთნებს აშშ-ის გაერთიანებული მრავალეროვნული მზადყოფნის ცენტრში გადიოდნენ.

ახალი სამშვიდობო კონტინგენტი ეტაპობრივად ჩაანაცვლებს პირველი და მეორე ქვეითი ბრიგადების მე-12 და 23-ე ბატალიონებს. ქართველი ჯარისკაცები საერთაშორისო მისიას ჰელმანდის პროვინციაში ექვსი თვის განმავლობაში, ამერიკული კონტინგენტის შემადგენლობაში შეასრულებენ.

ქართველი სამშვიდობოები ავლანეთში გამგზავრებამდე, მოსამზადებელ კურსს 2-3 კვირა, გერმანიაში, ამერიკის სამხედრო ბაზაზე, 6 თვე კი საქართველოში, კრნანისის სასწავლო ცენტრში გადიან.

სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს ავლანეთში 2009 წლიდან დღემდე 93 ქართველი ჯარისკაცი დაიჭრა.

სამი წლის განმავლობაში საქართველომ 19 ჯარისკაცი დაკარგა. 2010 წელს – 5 ჯარისკაცი დაიღუპა, 2011 წელს – 6, 2012 კი – 8 ჯარისკაცი.

ყველაზე დიდი მსხვერპლი საქართველოს არმიას 2010 წლის 30 სექტემბერს ჰქონდა, როდესაც ნალმზე აფეთქების დროს ჰელმანდის პროვინციაში ერთბაშად ოთხი ქართველი სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა.

ავლანეთში დაღუპული ქართველი ჯარისკაცები:

1984 წელს დაბადებული ლეიტენანტი **მუხრან შუკვანი** მესამე ქვეითი ბრიგადის 31-ე ბატალიონის ასეულის მეთაური იყო.

შუკვანი სნაიპერის ტყვიით 2010 წლის 5 სექტემბერს ჰელმანდის პროვინციაში დაიღუპა. დაკრძალეს მესტიის რაიონის სოფელ ლენჯერში. სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენით.

მესამე ქვეითი ბრიგადის 31-ე ბატალიონის ასეულის ოფიცერი, პოლკოვნიკი **რამაზ გოგიაშვილი** 1967 იანვარს დაიბადა.

2010 წლის 30 სექტემბერს ჰელმანდის პროვინციაში სამხედრო დავალების შესრულების დროს დაიღუპა – ნალმზე აფეთქდა.

1975 წელს დაბადებული სერჟანტი **დავით ცეცხლაძე** მესამე ქვეითი ბრიგადის 31-ე ბატალიონის ასეულის ჯარისკაცი იყო. 2010 წლის 30 სექტემბერს სამხედრო დავალების შესრულების დროს ნალმზე აფეთქების შედეგად ჰელმანდის პროვინციაში დაიღუპა.

კაპრალი **ნუგზარ კალანდაძე** 1989 წელს დაიბადა. მესამე ქვეითი ბრიგადის 31-ე ბატალიონის ასეულის ჯარისკაცი 2010 წლის 30 სექტემბერს ჰელმანდის პროვინციაში სამხედრო დავალების შესრულების დროს ნალმზე აფეთქდა.

მესამე ქვეითი ბრიგადის 31-ე ბატალიონის 1989 წელს დაბადებული კაპრალი **გიორგი კოლხიტაშვილი** 2010 წლის 30 სექტემბერს სამხედრო დავალების შესრულების დროს ნალმზე აფეთქდა.

კაპრალი **გიორგი ავალიანი**, რომელიც მესამე ქვეითი ბრიგადის 32-ე ბატალიონის ასეულის ჯარისკაცი იყო, 2011 წლის 22 თებერვალს სამხედრო დავალების შესრულების დროს ნალმზე აფეთქებამ იმსხვერპლა.

მესამე ქვეითი ბრიგადის 32-ე ბატალიონის ასეულის ჯარისკაცი კაპრალი **ვალერი ვერსკიანი** კი, 2011 წლის 5 მარტს ჰელმანდის პროვინციაში ნალმზე აფეთქების შედეგად, სასიკვდილოდ დაიჭრა და 2011 წლის 16 მარტს გერმანიის სამხედრო ჰოსპიტალში გარდაიცვალა.

მესამე ქვეითი ბრიგადის 33-ე ბატალიონის ასეულის ჯარისკაცი უმცროსი სერჟანტი **ლავროსი ივანიაძე** 2011 წლის 27 მაისს დაიღუპა.

მესამე ქვეითი ბრიგადის 33-ე ბატალიონის ჯარისკაცი რიგითი **გია გოგუაძე** 21 წლის ასაკში, 2011 წლის 19 ივნისს თალიბების თავდასხმის შედეგად მიღებული სასიკვდილო ჭრილობებით, ჰელმანდის პროვინციაში დაიღუპა.

1979 წელს დაბადებული სერჟანტი **რეზო ბერიძე**, რომელიც მესამე ქვეითი ბრიგადის 33-ე ბატალიონში მსახურობდა, 2011 წლის 30 აგვისტოს თალიბების თავდასხმამ იმსხვერპლა.

მესამე ქვეითი ბრიგადის 31-ე ბატა-



ფოტო: ბიორჩი, მოწა

ლიონის ჯარისკაცი კაპრალი **ბესიკ ნინაშვილი** 1988 წელს დაიბადა. 2011 წლის 30 დეკემბერს ნაღმზე აფეთქების შედეგად დაიღუპა.

1988 წელს დაბადებული კაპრალი **შალვა ფაილოძე** 2012 წლის 5 იანვარს ნაღმზე აფეთქდა.

მესამე ქვეითი ბრიგადის 31-ე ბატალიონის ჯარისკაცი კაპრალი **ვალერი ბერაია** 2012 წლის 21 თებერვალს საბრძოლო მანქანის ნაღმზე აფეთქების შედეგად ჰელმანდის პროვინციაში დაიღუპა.

მესამე ქვეითი ბრიგადის 31-ე ბატალიონის ჯარისკაცი კაპრალი **რუსლან მელაძე** 22 წლის ასაკში, 2012 წლის 21 თებერვალს, საბრძოლო მანქანის ნაღმზე აფეთქდა.

1975 წელს დაბადებული, მესამე ქვეითი ბრიგადის 31-ე ბატალიონის ჯარისკაცი კაპრალი **პაატა კაჭარავა** 2012 წლის 21 თებერვალს საბრძოლო

მანქანის ნაღმზე დაიღუპა.

სერჟანტი **ვალერიან ხუჯაძე**, რომელიც 1976 წელს დაიბადა და მესამე ქვეითი ბრიგადის 31-ე ბატალიონის ჯარისკაცი იყო, 2012 წლის 24 აპრილს პატრულირების დროს მონინაღმდების მიერ დადებულ თვითნაკეთ ნაღმზე აფეთქებისგან მიყენებული ჭრილობებით დაიღუპა.

კაპრალი **გივი ფანცულაია** საქართველოს შეიარაღებული ძალების მე-3 ქვეითი ბრიგადის 31-ე ბატალიონის შემადგენლობაში ავღანეთის ჰელმანდის პროვინციაში მსახურობდა. 2012 წლის იანვარში ნაღმმტყორცნის ჭურვით დაიჭრა. ექვსთვიანი მკურნალობის მიუხედავად, 26 ივლისს გორის სამხედრო ჰოსპიტალში გარდაიცვალა.

1989 წელს დაბადებული კაპრალი **მინდია აბაშიძე**, რომელიც მესამე ქვეითი ბრიგადის 32-ე მსუბუქი ქვეითი ბატალიონის საცეცხლე ჯგუფის მე-

თაური იყო, 2012 წლის 10 ოქტომბერს ავღანეთის სამშვიდობო მისიის ფარგლებში საბრძოლო ამოცანის შესრულების დროს გარდაიცვალა.

საქართველოს შეიარაღებული ძალების მეორე ქვეითი ბრიგადის სარტილერიო ბატალიონის მეზობლი სერჟანტი 24 წლის **გიორგი კიკაძე** ჰელმანდის პროვინციაში, 2012 წლის 29 დეკემბერს დაიღუპა.

ავღანეთში დაღუპული ჯარისკაცების ოჯახებისთვის კანონით დადგენილია სპეციალური კომპენსაციები.

მთავრობა დაღუპულთა ოჯახის წევრებს 15 ათასი ლარის ოდენობის ერთჯერად მატერიალურ დახმარებას აძლევს. მარჩენალდაკარგულ მშობლებს, მეუღლეებსა და შვილებს ენიშნებათ პენსია და სახელმწიფო ხარჯებით აშენებულ ოფიცურთა სახლებში გადაცემათ ბინები. **□**



ქაბუღი ჯანმრთელობის ინჟინერ

ავტორი, ფოტო: გიორგი გოგუა



თვითმფრინავის ვიწრო ილუმინატორიდან, აქა-იქ მიმოფანტულ ღრუბლებქვეშ დათოვლილი მთები ჩანს. თითქმის დამდნარი თოვლიდან ნაძვის ხეებია ამოჩხერილი. 3000 მეტრის სიმალიდან მთელი ეს პეიზაჟი სულ ორი ფერისაა: თეთრი და შავი. ჯერ კასპიის ზღვა მოვიტოვეთ უკან, შემდეგ თურქმენეთი. ეს უკვე ავღანეთია – ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი; ცოტა ხანში ქაბულიც გამოჩნდება – ქალაქი, სადაც ბოლო ათწლეულების მანძილზე თითქმის დაავიწყდათ, რა არის მშვიდობა.

ცოტაც და უკვე დასახლებული ადგილებიც გამოჩნდება. სიმაღლე ნელ-ნელა იკლებს, გარემოც უფრო მრავალფეროვანი გახდა: შავი და თეთრი ყავისფერმა და მწვანემ ჩაანაცვლა, თოვლიანი მთები – უდაბნომ. უზარმაზარ დაუსახლებელ ტერიტორიებზე აქა-იქ, მდინარის სანაპიროზე ყაყაჩოს პლანტაციებში ჩაკარგული მოყავისფრო მიწური სახლები გრძელ ზოლად მოჩანს. ყველა შემხვედრი სოფელი მალიდან ერთმანეთს ჰგავს – ვრცელ ყვითელ უდაბნოში მიმოფანტულ მწვანე მარ-თუკუთხედებს.

Welcome to Afghanistan – კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ავღანეთში – ეს წარწერა პირველია, რასაც ქაბულის საერთაშორისო აეროპორტში ჩამოსვლისას დაინახავთ. შენობაში თითქმის მუხლებამდე ჩამოშვებულ, უმეტესად თეთრ ან ნაცრისფერ პერანგსა და ნაჭრის განიერ შარვალში გამოწყობილი წვეროსანი მამაკაცები და თავშლიანი ქალები ირევიან, კოჭებს ქვემოთ დაშვებული კაბებით. აქა-იქ შეიძლება რამდენიმე ბურკაც მოგხვდეთ თვალში. ეს სამოსი, რომელიც სხეულს თავიდან ფეხებამდე სრულიად ფარავს, თალიბანის რეჟიმმა ყველა ქალისათვის სავალდებულო გახადა. ამის გამო რამდენიმე წლის წინ ქაბულის ქუჩებში ვერ იპოვიდით ქალს, რომელსაც თვალები მაინც უჩანდა, თუმცა დღეს ამ სამოსს უფრო და უფრო ნაკლები ავღანელი ქალი ატარებს.

დღეს ქაბულელებს თალიბები ბევრად ნაკლებად ანუხებთ, ვიდრე პროვინციებს. მუსლიმი ექსტრემისტები სხვადასხვა ქვეყნის სამშვიდობო ჯარებმა ჩაანაცვლეს, რომელთა ჯავშანმანქანები დედაქალაქის ქუჩებში გა-

მუდმებით მოძრაობენ. როგორც ჩანს, ქაბულის მცხოვრებლები ქალაქის ქუჩებში სამხედრო ესკორტის უკვე შეეჩვივნენ, ამიტომაც შუა ქუჩაში ველოსიპედით მიმავალი წვეროსანი მამაკაცები ავტომობილის ხმამალალ სიგნალს ყურადღებასაც არ აქცევენ.

ახლა სწორედ ერთ-ერთ ასეთ დაჯავშნილ ავტომობილში ვზივარ და ვცდილობ, ვინრო, დაორთქლილი ფანჯრიდან რამე მაინც გავარჩიო. ორმაგი მინის იქით სევდიანი სურათი იშლება: ნახევრად დანგრეული ერთფეროვანი შენობები. ირგვლივ ავარდნილ სქელ, ყვითელ, მტვერში ჩაკარგული ქუჩებიდან ყრუ შეძახილები ისმის. ფეხით მოსიარულეები სამხედრო ესკორტს უემოციოდ აყოლებენ თვალს. ალაგ-ალაგ, შუა გზაზე, პირდაპირ ტალახში ფეხმორთხმული ბავშვიანი ქალები გაიეღვებენ: სხეულის ერთადერთი ნაწილი, რომელიც ჭუჭყიანი ბურკადან უჩანთ, სამათხვოროდ გამოწვდილი ხელია.

ქაბულის ქუჩებში ნახევარ საათს რომ იმოძრაოთ, შეიძლება ყველა სახის ტრანსპორტს ნაანყდეთ: ურემითა და ველოსიპედით დაწყებული, დაჯავშნილი ორხიდიანი სამხედრო მანქანით დამთავრებული. თუ ძალიან გაგიმართლათ, შეიძლება, თვალი ნამდვილ ტანკსაც შეავლოთ. ეს ყველაფერი ძალიან ჰგავს იმას, რაც 90-იანი წლების თბილისის შესახებ მომისმენია (შეიძლება, ოდნავ უარესი ფორმით). ქალაქის ერთ ნაწილში ე.წ. „ხრუშჩოვკის“ მსგავს კორპუსებსაც კი შეხვდებით, ზუსტად ისეთსავე უსახურსა და ნაცრისფერს, როგორებიც თბილისშია: ფანჯრიდან ფანჯრამდე გადაჭიმულ თოკზე გასაშრობად გაფენილი სხვადასხვა ფერისა და ზომის ტანსაცმლით, ამ ფანჯრებიდან საცოდავად გამოშვერილი კუსტარული ანტენებითა და კიდებჩამონგრეული ტროტუარებით, რომლებსაც მთელი ფილები შიგადაშიგ თუ შემორჩენიათ.

პირდაპირ, ქუჩის პირას დახვავებული ნაგვის გროვასთან ერთმანეთისაგან რამდენიმე მეტრის დაშორებით სახელდახელოდ ჩასობილ ორ ბოძზე ბადეა გაბმული. შავსამოსიანი ფეხშიშველი ბავშვები ბადის ორივე მხარეს დგანან და ფრენბურთს თამაშობენ, დროდადრო კი გამვლელი მანქანებისათვის ქვების სროლით იქცევენ თავს.

ჯავშანმანქანის ვინრო ფანჯრიდან ყველაფრის კარგად დანახვა შეუძლებელია, თუმცა გზადაგზა მაინც ჩნდება მატარა მა-

ლაზიები, კარებთან დახვავებული ათასგვარი ბოსტნეულით: გამვლელები ჩერდებიან, პროდუქტს საგულდაგულოდ სინჯავენ, შემდეგ გამყიდველებს ფასზე ევაჭრებიან. შემდეგ კი, თუ მორიგდებიან, ყიდულობენ, თუ არა – უკმაყოფილოები ტოვებენ იქაურობას. ტრადიციულ ავღანურ სამოსში გამოწყობილ მამაკაცებს შორის სპორტულშარვლიან და ბოტასებიან მამაკაცებსაც შეხვდებით – ძირითადად ახალგაზრდებს. არიან ისეთებიც, რომლებიც სპორტულ ფეხსაცმელს ტრადიციულ სამოსთან ერთად ატარებენ.

მიუხედავად საკმაოდ მძიმე საცხოვრებელი პირობებისა, დღევანდელი ქაბულის ყოფა მაინც ბევრად სჯობს იმას, რაც ქალაქმა თალიბანის რეჟიმის დროს გადაიტანა. დღეს ქუჩაში ნვერგაპარსულ ადამიანებსაც შეხვდებით. თალიბები კი ამის გამო აპატიმრებდნენ, უარეს შემთხვევაში კი სიკვდილით სჯიდნენ. მართალია, ქაბულს „სიცოცხლით სავსეს“ ნამდვილად ვერ დაარქმევთ, მაგრამ ფაქტია, რომ გაუთავებელი ომის შემდეგ ქალაქმა, ცოტა არ იყოს, ამოისუნთქა. ქუჩაში და ზოგიერთი შენობის კედელზე გამოკრულ გაცვეთილ ბანერებზე მობილური ოპერატორებისა და ინტერნეტ პროვაიდერების რეკლამებსაც მოჰკრავთ თვალს. თალიბანის შემდეგ ეს ავღანეთისათვის დიდი სიახლეა, რადგან მკაცრი სამხედრო-რელიგიური რეჟიმის დროს, ყველანაირი ტექნიკური საშუალება სრულიად კანონსაწინააღმდეგოდ იყო გამოცხადებული.


ეს არ არის ის ქაბული, რომელიც ტელევიზიაში გინახავთ ან გაზეთებში წაგიკითხავთ, სადაც ყოველ დღე ვილაცას იტაცებენ, ძარცვავენ, კლავენ ან ასახიჩრებენ. აქ, ავღანური რეგიონებისგან განსხვავებით ყოველ ფეხის ნაბიჯზე დანალმული საგნები არ დევს. რასაც დაორთქლილი ორმაგი მინიდან ვხედავ, ნაომარი ქალაქი უფროა, სადაც გამხდარი, საშუალო ტანის მზისგან დამწვარი ტიპები ჯგუფ-ჯგუფად მოძრაობენ. ფერად-ბურკიანი ქალები ჩვილი ბავშვებით ხელში დანგრეულ ტროტუარებს მიუყვებიან. სამხედრო ჯავშანმანქანიდან ქაბულის თვალთვრებაც დაახლოებით ისეთივე შეგრძნება უნდა იყოს, როგორც ბურკის ვინრო ჭუჭრუტანებიდან. ეს ერთგვარი ბარიერი, რომელიც „შენივე უსაფრთხოებიდან გამომდინარე“ გარესამყაროსთან კავშირს შემანუხებლად გიზღუდავს. ■



















„ძალაუფლება გადავეცით დემოკრატიულად, ჩემ დროს გაიხსნა ყველაზე მეტი ტელევიზია, გაზეთი. ფაქტია რომ, გინდა ასე ილაპარაკე, გინდა ისე, ძალიან ბევრი გაიხსნა. იყო სრულყოფილი დემოკრატია? – არ იყო სრულყოფილი დემოკრატია. რა თქმა უნდა, ყველანაირი ჩარევა გარედან, ყველანაირი ხელოვნური ფათური, ყველანაირი შენი ხალხის გაყვანა პოლიტიკური ნიშნით ტელევიზიებთან მიმართებაში, რა თქმა უნდა, არის საშიში“.

მიხეილ სააკაშვილი, საქართველოს პრეზიდენტი



„თურქეთის ტერიტორიაზე არსებული ქართული ეკლესიების საკითხზე ერთობლივად ვმუშაობთ. უკვე დაწყებულია ოქმის მომზადება, იქნება ეს ეკლესიები თუ მეჩეთები, ჩვენ ამას განვიხილავთ კულტურულ მემკვიდრეობად და მზად ვართ მხარი დავუჭიროთ მათ რესტავრაციას. ვიმედოვნებ, რომ საქართველოს მთავრობა იგივე დამოკიდებულებას გამოიჩენს თურქული ძეგლებისადმი. რაც შეეხება ბათუმში მეჩეთის მშენებლობას, ეს არის რელიგიური მრავალფეროვნების საკითხი და საქართველოს მართლაც სწორი პოზიცია აქვს“.

მაჰმუდ დავითოღლუ, თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი



„ჯოზეფ ქეის ჩვენებიდან გამომდინარე, ის ასახელებს, რომ იანვარში, „იმედის“ მართველსთან დაკავშირებული საკითხები შეთანხმებული იყო საქართველოს პრეზიდენტთან, მისი უშუალო და პირდაპირი შეხვედრის შედეგად. შესაძლებელია რომ გამოძიების მიმდინარეობის კვალობაზე, ამ საკითხის გამორკვევის მიზნით საქართველოს პრეზიდენტი მონვეულ იქნეს მონმედ“.

არჩილ კბილაშვილი, მთავარი პროკურორი



www.ucnobifm.ge



ყველაზე სიბნელად
ვრთვასობის ყველაზე
მნიშვნელოვანი
დადასტოვების
განმარტებანი



PROFY

ყმვეც ქვერანს 15:30